ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 2022

№176 (8954)

ფასი: 80 თეთრი



გვ.5

40 წლის ქართველი ქალი საბერძნეთში დაიჭირეს

სპეცოპერაცია თბილისსა და რეგიონებში — ნარკოდანაშაულისთვის 10 პირია დაკავებული




გვ.5

# „კობახიძის ხელისუფლებაში ყოფნა ოპოზიციის უსუსურობის ბრალია!“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები ვის იმედად უნდა?!“



## „ერთადერთი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებია“



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოპოზიცია პარლამენტში გაიჭედა. პარლამენტსა და კობახიძეს ამაგრებენ“




## „ნაცმოძრაობა ცრუდასავლური ოპოზიციაა!“



გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება აშშ-ში დადებითად აღიქვეს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ღმერთმა ნუ ქნას, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, მთლიანი ოპოზიცია კრახს განიცდის“



გვ.2



გვ.3

## ირაკლი ღარიბაშვილი ოლივერ ვარჰეის შეხვდა

„ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებელ გზაზე ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების იდეის ერთგულნი ვართ“



გვ.4

პარლამენტმა ე.წ. მოსმენების კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია

ირაკლი ზარქუა: „ნიკა მელიას უკიჟინებდნენ, რამე გააკეთეო... ჭკვიანი ბიჭი ჩანს, მთლად ასეთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა“



გვ.3

1993230720223

4 სენსაციური აღმოჩენა დმანისში

5 კაცი ცხოველთა თავშესაფარში შეიჭრა და 150 ძაღლი გაათავისუფლა

6 რუსეთმა სანქციები შონ პენსა და ბენ სტილერს დაუწესა

6 მეხსიერებადაკარგულ მამაკაცს ცოლი ხელმეორედ შეუყვარდა

# „კობახიძის ხელისუფლებაში ყოფნა ოპოზიციის უსუსურობის ბრალია!“

## გია ხუხაშვილი: „ოპოზიციას ვადამდელი არჩევნები ვის იმედად უნდა?!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.**



***– ბატონო გია, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ „ოცნება“ ნელ-ნელა ოთხეულთან გამიჯვნას ცდილობს. პრემიერმაც ტონი და განცხადებები შეცვალა. გონება გაუნათდა „ქართულ ოცნებას“ თუ რასთან გვაქვს საქმე?***

– არა მგონია, გონება განათებოდა. ჩვენ არა გვყავს ხელისუფლება, რომელიც ანალიზის ან ღირებულებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. ისინი მოქმედებენ რაღაც ტაქტიკური მოსაზრებებით. დღეს ასე სჭირდებათ, ასე ილაპარაკებენ, ხვალ უკულმა დასჭირდებათ, უკულმა ილაპარაკებენ, ზეგ მერე ისევ გადაატრიალებენ. როდესაც ადამიანს არა აქვს არანაირი პრინციპები, გრძელვადიანი ხედვა და ერთადერთი, რაზეც ზრუნავს, ძალაუფლებაა, ასეთი ადამიანისთვის დამახასიათებელია ამგვარი წინააღმდეგობრივი მოქმედებები, მით უმეტეს, თუ არც ღირსება და თავმოყვარეობა არა გაქვს, შეგიძლია, დილას ერთი ილაპარაკო და საღამოს – იმის საწინააღმდეგო. ისინი ამაში პრობლემას ვერ ხედავენ.

***– ახლა დასჭირდათ სიტუაციის შემობრუნება?***

– ახლა ტაქტიკურად დასჭირდათ, რაღაც ასეთი რევერანსი გაეკეთებინათ, იმიტომ, რომ ბრიუსელში მიდის ბიჭი, მერე ნიუ იორკში აპირებს ჩასვლას და რაღაცა ჩაუფინეს თავიანთი ჭკუით. ახლა ამტკიცებენ, რომ არაფერი არ უთქვამთ მათ დასავლეთის საწინააღმდეგო, მაშინ როდესაც შეთქმულების თეორიას ავითარებდნენ თვეების განმავლობაში, რომ დასავლეთი ომს ითხოვდა ჩვენგან და ასე შემდეგ. ახლა ცდილობენ, იმ ოთხეულს შეახოცონ ხელი, მაგრამ ამნეზია არავის არ სჭირს, კარგად გვახსოვს კობახიძის განცხადებები, პრემიერ-მინისტრის წერილები.

***– სწორედ კობახიძემ განაცხადა გუშინ, ჩვენ არასოდეს გაგვიზიარებია ამ ოთხეულის პოზიციაო.***

– კობახიძე ყოველთვის ადასტურებდა ამ ოთხეულის გამოსვლებს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, პირადად თვითონ ძალიან მძიმე განცხადებებს აკეთებდა ამ კუთხით. ახლა კი ისეთი გონორით აცხადებენ, რომ მათ ეს არასოდეს არ გაუკეთებიათ, წარმოუდგენელია ეს ყველაფერი. ეს არის ელემენტარული პოლიტიკური სოციოპათია, როდესაც ადამიანს ძარღვიც კი არ შეუტოკდება, ისე შეუძლია, თეთრზე თქვას, შავიაო. კობახიძისთვის ეს დამახასიათებელია, თუმცა, სამწუხაროდ, არც სხვები ჩამორჩებიან ამ ბოლო პერიოდში. რაღაც ვირუსული დაავადება აღმოჩნდა, კობახიძისგან გადამდები და ყველა ამ სოციოპათიას მოერგო, რასაც ჰქვია.

***– მთელი ზაფხული ამერიკის ელჩს ესხმოდნენ თავს და დღეს სრულიად საპირისპიროს ამტკიცებენ.***

– თუნდაც გუშინდელ გამოსვლაში თუ დააკვირდებოდით, კობახიძეს იმ ოთხეულის გამოსვლები არ უარუყვია, შეიძლება, 100%-თაც ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენ ამაზე არ ვლაპარაკობთ, თუმცა მოსაზრებებს ვიზიარებთო. დიდი ბოდიში რა შენ, მთავრობა, თუ ფიქრობ, რომ ამერიკას უნდა ჩვენი ომში ჩათრევა, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ამას ხმამაღლა იტყვი თუ სხვას ათქმევინებ. ფაქტობრივად, შენს სათქმელს ლაპარაკობს და ამას შენვე ადასტურებ. საბოლოო ჯამში, რასაც ესენი ლაპარაკობენ, სიგიჟე და ბოდვაა. რატომღაც ჰგონიათ, რომ ეს უნდა ჭამოს საზოგადოებამ, თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამას ჭამს კიდევაც.

***– რატომ ჭამს, უბრალოდ, ასე აწყობს და იმიტომ?***

– საზოგადოებას ყოველთვის სჭირდება პოლიტიკური ლიდერი. კი, შესაძლოა, საზოგადოება ბევრ რამეს ხვდება, რომ ეს ხელისუფლება უვარგისია, უპრინციპოა, იტყუება, ულირსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ოპოზიცია სთავაზობს მას ღირსეულ ალტერნატივას. სწორედ ამიტომ არის დღეს ასეთი გაუგებარი ვითარება, როდესაც საზოგადოება მსახურის გარეშეა დარჩენილი, იმ მსახურის, რომელმაც მისი კეთილდღეობა და თავისუფლება უნდა უზრუნველყოს, ანუ ხელისუფლება, პოლიტიკური ლიდერი მყავს მხედველობაში. ოპოზიციაც ყველაფერს აკეთებს, რომ ეს უვარგისი კობახიძე იყოს ხელისუფლებაში. კობახიძის ხელისუფლებაში ყოფნის ერთადერთი ფაქტორი დღეს ოპოზიციის უსუსურობაა! სხვა ფაქტორი აღარ არსებობს.

***– ასეთი სუსტი ოპოზიცია არ ახსოვს ამ ქვეყანასო, ასეთ შეფასებებს ვისმენთ.***

– არც ასეთი სუსტი ხელისუფლება ახსოვს. მთლიანად პოლიტიკური ელიტაა დეგრადირებული, როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიცია. ჩვენ გვაქვს მთლიანად პოლიტიკური ელიტის კრიზისი, ანუ თამასამ იმდენად დაიწია, რომ ლამის ფსკერამდე დაეცა.

***– ამ ფონზე რომ დაეწყო ოპოზიცია სიმაღლის მიხედვით და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, ვის და რის იმედად?***

– წარმოუდგენელი რაღაცა ხდება. წმინდა ტექნიკურადაც გაუგებარია ეს ყველაფერი. ლამისაა, რიგითი არჩევნები მოახლოვდა. ამ დროს რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა, მით უმეტეს, კონსტიტუციაში ასე წერია, რომ 2024 წელს მაინც უნდა ჩატარდეს არჩევნები. რა, ერთწლიანი პარლამენტის არჩევა უნდათ?! გარდა ამისა, რის იმედად, ძალიან მაინტერესებს. რომ დათანხმდეს ხელისუფლება, რას იზამენ?! ხელისუფლებას, კი ბატონო, შეიძლება, ლეგიტიმაცია დაკარგული აქვს, მაგრამ თვითონ აქვთ ლეგიტიმაცია?! ამაზე რატომ არ ზრუნავენ და რატომ არ ფიქრობენ. ვის იმედად უნდათ ვადამდელი არჩევნები? რომ ვიღაცა „ოცნებას“ წაართმევს ხელისუფლებას და ამათ ხონჩით მიართმევს?! კი ბატონო, ვადასტურებ, რომ ხელისუფლებას აქვს პრობლემები, მაგრამ არანაკლები პრობლემები ხალხის ნდობის თვალსაზრისით თავადაც რომ აქვთ, ამაზე რატომ არ ზრუნავენ?! დილიდან საღამომდე ამტკიცებენ, რომ გვყავს ცუდი ხელისუფლება. ხალხიც პასუხობს, კი ბატონო, გავიგე, რომ ხელისუფლება ცუდია, მაგრამ შენ თვითონ ვინ ხარ, ეს მითხარი, დამარწმუნე, რომ შენ შეგიძლია ამ ქვეყნის უკეთესად მართვა. ამ კუთხით რამეს აკეთებენ? არც არაფერს! ცუდის ცუდით შეცვლა რატომ უნდა უნდოდეს ხალხს?!

***– ალბათ არც ეს დაანონსებული ცხელი შემოდგომა გამოუვა ოპოზიციას.***

– კი ბატონო, ანონსებში და დილით დავიწყებთ და საღამოს დავამთავრებთ, მაგრები არიან, მაგრამ ობიექტური საფუძველი აქვს ამ ბაქიბუქს? ვერ ქმნიან ამ საფუძველს. კი ბატონო, ცვლილებები საჭიროა, მაგრამ იმისათვის, რომ ცვლილებები განახორციელო, ჯერ საფუძველი უნდა შექმნა.

***– ბატონო გია, ცხადია, რომ ხელისუფლება არც ამ 12-პუნქტიან გეგმას არ შეასრულებს. მიდის ღარიბაშვილი ბრიუსელში, რა გზავნილებს ჩამოიტანს იქიდან?***

– მე ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილს ხელს არავინ არ ჩამოართმევს სერიოზულად. პროტოკოლურად შეხვდებიან, საყვედურებს ეტყვიან და გამოუშვებენ. ღარიბაშვილი არის ის ადამიანი, რომელიც მიუღებელია მთლიანად დასავლეთისთვის. რეალურად ამ განცხადებების ფონზე ხელისუფლებას პოლიტიკის ცვლილება რომ უნდოდეს, პირველი, რასაც გააკეთებდა, ამ ორ ირაკლის მოიშორებდა, რომელიც ქვეყანაში ანტიდასავლური ნარატივის განვითარებასთან ასოცირდება. ამ ფიგურანტების შეცვლა რომ არ უნდათ, ხომ გასაგებია, რომ არც არაფრის გაკეთებას არ აპირებენ. ამ ორ ადამიანს დასავლეთში გასავალი უკვე ვეღარ ექნება. უნდა ხელისუფლებას დასავლეთისკენ შემობრუნება? ფიგურანტებიც უნდა შეცვალოს. რომ დასჭირდათ ერთხელ კობახიძის დამალვა, ხომ დამალეს. ღარიბაშვილის დამალვა რომ დასჭირდათ, ისიც ხომ დამალეს. ახლა ამათით აპირებენ? რანაირად, ვერ გავიგე! ამათ ხელში კარგად აღარაფერი იქნება. იმ 12 პუნქტის შესრულების პოლიტიკური ნება რომ არა აქვთ, ამას დიდი ექსპერტობა არ სჭირდება. ეს ყველასთვის ცხადია.

# პაატა ზაქარეიშვილი: „ღმერთმა ნუ ქნას, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, მთლიანი ოპოზიცია კრახს განიცდის“

ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, საზოგადოება არ არის მზად ვადამდელი არჩევნებისთვის. მისი თქმით, „ვადამდელი არჩევნები კი არ დაასრულებს ნაციონალურ მოძრობას, არამედ დამარხავს, იმიტომ, რომ ხალხს ყელში აქვს ამოსული ნაციონალური მოძრაობა“.

როგორც ზაქარეიშვილმა გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით არგუმენტები არ არის დამაჯერებელი.

– ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, ეს თუ მოხდება, მთლიანი ოპოზიცია კრახს განიცდის, რადგან დღეს საზოგადოებაში ვადამდელი არჩევნების განწყობა არის არის. არაფერი არ ხდება ისეთი, რის გამოც საზოგადოება უნდა წავიდეს ვადამდელ არჩევნებზე.

2024 წლის არჩევნები არსად არ წავა. ის აუცილებლად იქნება. აქედან გამომდინარე, ყოველ წელს არჩევნები მხოლოდ გააღიზიანებს ამომრჩეველს. ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დასრულდება ოპოზიციის კრახით. რატომ აკეთებს ამას ოპოზიცია, არ მესმის. საზოგადოებაში „ქართული ოცნება“ ნამდვილად არ არის პოპულარული, მაგრამ სხვა პარტიებიდანაც არავინ არის პოპულარული.



ნიკა მელიას არცერთი არგუმენტი არ არის დამაჯერებელი. საქართველოს მოქალაქის დღის წესრიგში არის სიღარიბე, გაჭირვება, ფასების მატება, ამას არანაირი კავშირი არ აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევასთან, არც სახალხო დამცველის არჩევასთან, ევროკავშირში გაწევრიანებასაც კი არ აქვს კავშირი. ამიტომ, ასეთი ზერელე, წინდაუხედავი ანალიზი კარგს არაფერს მოუტანს, არც ოპოზიციას, მით უმეტეს, სახელმწიფოს. ეს იქნება ანტისახელმწიფოებრივი აქტი, იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ ასეთ ვადამდელ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

კითხვაზე, თუ „ქართული ოცნების“ რეიტინგი იკლებს დასავლეთთან დაპირისპირების, სიღარიბის ზრდის ფონზე, რატომ აქვს „ქართულ ოცნებას“ გამარჯვების შანსი? ამასთან დაკავშირებით ზაქარეიშვილმა უპასუხა, რომ ოპოზიცია ამ საკითხების სასარგებლოდ საზოგადოებას არაფერ სასარგებლოს არ სთავაზობს.

– ამ ფონზე „ქართულ ოცნებას“ ჰყავს ნეიტრალური მხარდამჭერი, იმიტომ, რომ მათ არ უნდათ ნაციონალური მოძრაობა.

„ქართული ოცნება“ არაფერს არ აკეთებს, ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავს, მაგრამ მისი მთავარი ამოცანაა, მუდმივად ჰყავდეს გაბერილი თოჯინა ნაციონალური მოძრაობის სახით – „თუ ჩვენ არ ვიქნებით, ჩვენზე უარესი ნაციონალური მოძრაობა მოვა“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მან ასევე ისაუბრა კოალიციური მთავრობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მთავარია არა კოალიციური მთავრობის მოსვლა, არამედის, თუ რისთვის მოდის.

– რას გააკეთებს კოალიციური მთავრობა, რომ მოვა? როგორ შეებრძოლება სიღარიბეს? უმუშევრობას? არა თუ მოვა, არამედ რისთვის მოვა? რისი გამკეთებელია ეს კოალიციური მთავრობა? ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და სწორედ, ამაზე არ არის ლაპარაკი. „ქართულ ოცნებას“ სიღარიბე კვებავს. როგორც მანქანას სჭირდება საწვავი, ისე სჭირდება „ქართულ ოცნებას“ სიღარიბე, იმიტომ, რომ ძალიან იოლია ღარიბი ხალხის ყიდვა.

მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის არჩევნებზე ლაპარაკი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგები. ეს არჩევნები კი არ დაასრულებს ნაციონალურ მოძრობას, არამედ დამარხავს, იმიტომ, რომ ხალხს ყელში აქვს ამოსული ნაციონალური მოძრაობა. ვერ იტანენ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ამათ უფრო მეტად ვერ იტანენ. უარყოფითი რეიტინგი უფრო ნაციონალურ მოძრაობას აქვს, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. უბედურება ის არის, რომ ცუდსა და უარესს შორის გვაქვს არჩევანი, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

# ლევან ვარშალომიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ ლევან ვარშალომიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა. მისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტას პარლამენტმა მხარი 78 ხმით დაუჭირა (7 წინააღმდეგი).

ვარშალომიძისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზი პარლამენტის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა გახდა.

როგორც საკითხის მომხსენებელმა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, საგაზაფხულო სესიის ფარგლებში 26 პლენარული სხდომა ჩატარდა და ვარშალომიძემ 26-ვე გააცდინა. მისივე განმარტებით, ფრაქციას არ წარმოუდგენია რამე ცნობა, რომლის საფუძველზეც ვარშალომიძის გაცდენები შეიძლება საპატიოდ ჩათვლილიყო.

საკითხს გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვარშალომიძე არც ერთ სხდომას არ დასწრებია და „პარლამენტში ნამყოფიც არ არის“, ანაზღაურების სახით 56.000 ლარი მიიღო და ის პარლამენტისთვის უკან არ დაუბრუნებია.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტში ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლე ვერ შევა, რადგან საპარლამენტო ოპოზიციის, მათ შორის, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიები გაუქმებულია.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ერთადერთი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებია“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ოპოზიცია პარლამენტში გაიჭედა. პარლამენტსა და კობახიძეს ამაგრებენ“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, პარლამენტის საშემოდგომო სესიით, ერთგვარად პოლიტიკური სეზონი გაიხსნა. რამდენად ელოდებით ოპოზიციის მხრიდან რადიკალურ გადაწყვეტილებას პარლამენტის დატოვებასთან დაკავშირებით?***

– ისეთ ქვეყანაში, ისეთ სიდუხჭირეში, როგორშიც ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან, პოლიტიკოსები დასასვენებლად არ უნდა მიდიოდნენ და სეზონის მიხედვით არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკის გააქტიურება. სამწუხაროდ, პოლიტიკოსების უმრავლესობა სწორედ სეზონურობით გამოირჩევა, რაც ძალიან ცუდია.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, მე არ ველოდები ასეთ გადაწყვეტილებას ამ ოპოზიციისგან. მათ ვერ შეიგნეს, რომ მათი იქ ყოფნით მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს აძლიერებენ. შეუძლებელია, ამას ვერ ხვდებოდე და პოლიტიკოსობაზე გქონდეს პრეტენზია. ის მაინც უთხრან ხალხს, როდემდე აპირებენ პარლამენტისა და კობახიძის გამაგრებას. თქვან ან მოვლენა, ან თვე, ან რიცხვი. გვითხრან, როდემდე?!

ყველას კარგად ახსოვს, როგორ ამბობდა საპარლამენტო ოპოზიცია, რომ მათი ხმები საჭირო იყო საკონსტიტუციო ცვლილებისთვის. ასევე ისიც იცის ხალხმა, რომ საკონსტიტუციო ცვლილება არ იქნება.

***– საარჩევნო კოდექსის ცვლილებას გულისხმობთ.***

– რა თქმა უნდა. სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლასა და საარჩევნო ბარიერის დაწევას ან ბუნებრივ ბარიერს, მაგრამ ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით, სრულიად გასაგებად თქვა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები არ იქნება. ხომ გახსოვთ, როგორ წაუყენა ევროკავშირს წინაპირობა, თუ მოგვცემთ კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ საკონსტიტუციო ცვლილებებსო. ეს იყო სამარცხვინო განცხადება, ეს იყო პირდაპირ ვაჭრობა ევროკავშირთან. ამის შემდეგ რას ელოდება ოპოზიცია პარლამენტში, უბრალოდ, გაუგებარია.





***– მათ აქვთ არგუმენტი, რომ ალტერნატიულ 12-პუნქტიან გეგმაზე მუშაობენ.***

– ალტერნატიული გეგმის დადება პარლამენტს გარეთაც შეიძლება. ხომ აქვთ ოფისები. რა საჭიროა პარლამენტის კაბინეტები ამისთვის?! საერთაშორისო მისიებთან პარლამენტს გარეთაც, ოფისებშიც, საელჩოებშიც შეიძლება შეხვედრების გამართვა. ეს არ არის არგუმენტი.

***– იმთავითვე ცნობილია, რომ პარლამენტს ყველა ოპოზიციური პარტია არ დატოვებს. ეს მათ ნათქვამი აქვთ.***

– მე ვსაუბრობ ნამდვილ ოპოზიციაზე, რომელიც, ჩემდა გასაოცრად, დღემდე „ოცნებას“ აძლიერებს თავისი იქ ყოფნით. ეს ხალხი პარლამენტში გაიჭედა.

***– რაში ხედავთ გამოსავალს?***

– ერთადერთი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებია.

***– ნიკა მელიას იდეას ემხრობით?***

– ვადამდელი არჩევნები და ამ ხელისუფლების ცვლილებაა ერთადერთი გამოსავალი.

***– დანარჩენი ოპოზიცია შეუძლებლად მიიჩნევს ვადამდელ არჩევნებს.***

– ამიტომაც ვართ ამ დღეში. თუ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არ იქნება, მაშინ, რაზე მოუწოდებენ ამ ხალხს ქუჩაში?! ქუჩის მშვიდობიანი პროტესტი ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით და პარლამენტის დატოვება ოპოზიციის მხრიდან დაძრავდა მკვდარი წერტილიდან არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. დღეს ქვეყანა და ყველა, პოლიტიკოსებიც, ხალხიც, ვართ ერთ დიდ ჭაობში. ივანიშვილი ხალხს მხოლოდ ემიგრაციასა და კარტოფილის პლანტაციებში მუშებად ჩაბარებას ჰპირდება. სხვა ალტერნატივა „ქართულ ოცნებას“ არ აქვს. ამიტომ მართებს ოპოზიციას გამოფხიზლება, რომ ხალხმა ირწმუნოს მათი.

***– როგორ უნდა დაუბრუნდეს ხალხს რწმენა?***

– ასე ვერანაირად ვერ დაუბრუნდება. თუ ოპოზიცია კიდევ დიდხანს იქნება პარლამენტში გაჭედილი, ეს რწმენას არ დააბრუნებს, პირიქით, დაარწმუნებს კიდევ უფრო მეტად იმაში, რომ თბილ სავარძლებს არის ეს ხალხი გამოკიდებული. ცალი ფეხით ქუჩაში იყო და ცალით – პარლამენტში, ასე ბრძოლის მოგება შეუძლებელია. ან უნდა იბრძოლო გულწრფელად უკეთესი მომავლისთვის, ქვეყნის ნამდვილი ევროპული პერსპექტივისთვის, ან უნდა შეეგუო არსებულ რეალობას. არჩევანი აქვს საპარლამენტო ოპოზიციას გასაკეთებელი. „ლეიბორისტებმა“ ეს არჩევანი დიდი ხანია, გავაკეთეთ.

## ირაკლი ზარქუა: „ნიკა მელიას უკიჟინებდნენ, რამე გააკეთეო... ჭკვიანი ბიჭი ჩანს, მთლად ასეთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა“



„უკიჟინებდნენ, რამე გააკეთე, რამე მოიფიქრეო. ამიტომ ათქმევინეს. ჭკვიანი ბიჭი ჩანს, მთლად ასეთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ვურჩევდი, შეეშვან ამ სისულელეებს“, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც რიგგარეშე არჩევნებზე ნიკა მელიას განცხადებას გამოეხმაურა.

მისი თქმით, მელიამ ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა.

– მგონია, რომ ეს იყო ვალის მოხდა თავისი ამომრჩევლის თუ მიმდევრების, ვინც შემორჩა, მათ წინაშე – უკიჟინებდნენ – რამე გააკეთე, რამე მოიფიქრეო. ამიტომ ათქმევინეს, იმიტომ, რომ ჭკვიანი ბიჭი ჩანს, მთლად ასეთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, რომ გააჟღერა ისეთი გეგმა, რომელსაც მხარდამჭერი თავის პარტიაში და ოპოზიციურ ფლანგშიც არ ჰყავს. ოპოზიციაში მისი კოლეგების მხრიდან სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა. ჩვენთვის სასაცილო იყო.

მერამდენე წელია გვესმის – გადატრიალება, რევოლუცია. პარლამენტის კარიბჭის ამზომველებიც გვახსოვს. ეს ხომ სისულელეა. ვურჩევდი მათ, საქმით დაკავდნენ. საქმე არის 12-პუნქტიანი გეგმა და კანონპროექტები, რომლებიც გავამზადეთ. შეეშვან ამ სისულელეებს, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

ცნობისთვის, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიამ განაცხადა, რომ საქართველოში ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს. მისივე თქმით, საქართველოში ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მისაღწევად მრავალფეროვანი პოლიტიკური აქტივობები და სხვადასხვა სახისა და ფორმის საპროტესტო ღონისძიებები განხორციელდება.

## ეპისკოპოს ზენონის მკაცრი განაჩენი სამ სასულიერო პირს – ადგილობრივი მრევლი გადაწყვეტილებას აპროტესტებს

ეპისკოპოს ზენონის მკაცრი განაჩენი სამ სასულიერო პირს. ლონდონში ქართული ტაძრის სასულიერო პირებს ზენონ იარაჯულმა მკაცრი საეკლესიო სასჯელი დაადო და მღვდელმსახურება შეუჩერა.

სინოდის წევრის თქმით, გადაწყვეტილების მიზეზი ლონდონის ეპარქიაში არსებული დარღვევები გახდა. მთავარეპისკოპოს ზენონის გადაწყვეტილებას ადგილობრივი მრევლის პროტესტი მოჰყვა. ამბობენ, რომ არ დაუშვებენ, არქიმანდრიტ დოროთის მღვდელმსახურება შეუწყდეს.

თავად არქიმანდრიტი კი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ მისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო. მისივე თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დეტალი გასარკვევი აქვს, რის შემდეგაც განცხადებას გააკეთებს.

## ჯოზეფ ბორელი: „პოლარიზაციამ არ უნდა მიაღწიოს ზღვარს, რომელიც პროცესებს ხელს უშლის“



„ჩვენ გვჭირდება გარკვეული პოლარიზაცია, რათა ვაჩვენოთ განსხვავებული მიდგომა. ეს ნორმალურია, ეს დემოკრატიაა, მაგრამ პოლარიზაციამ არ უნდა მიაღწიოს ზღვარს, რომელიც ხელს უშლის პროცესებს და საფრთხეს უქმნის მიზნების შესრულებას. მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ესმოდეთ, რომ ეს არის კოლექტიური ძალისხმევა და ეს არის ისტორიული მომენტი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას“, – ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელმა „ინტერპრესნიუსის“ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან რჩება თუ არა შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური ძალები საქართველოში ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა აყენებენ ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს, განსაკუთრებით დეპოლარიზაციასთან მიმართებით.

როგორც ჟოზეფ ბორელმა აღნიშნა, ის ვერ შეაფასებს საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებას, თუმცა მოუწოდებს მხარეებს კეთილსინდისიერად ჩაერთონ ინკლუზიურ პროცესში და ითანამშრომლონ.

– ეს ინკლუზიური პროცესია და ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას ჩაერთოს ამ პროცესში კეთილსინდისიერად და ითანამშრომლოს. ჩვენ შეიძლება გვქონდეს განსხვავებული მიდგომა, პოლარიზაცია კი, როგორც კომისარმა ვარჰეიმაც აღნიშნა, არ არის ექსკლუზიური მხოლოდ საქართველოსთვის. პოლარიზაცია პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია. მაგრამ, როგორც ცხოვრებაში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია, ზედმეტი პოლარიზაცია იწვევს დესტაბილიზაციას და საფრთხეს უქმნის პროგრესს. თუმცა ჩვენ გვჭირდება გარკვეული პოლარიზაცია რათა ვაჩვენოთ განსხვავებული მიდგომა, ეს ნორმალურია ეს დემოკრატიაა, მაგრამ ამ პოლარიზაციამ არ უნდა მიაღწიოს ზღვარს, რომელიც ხელს უშლის პროცესებს და საფრთხეს უქმნის მიზნების შესრულებას. მე არ ვაპირებ საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრების შეფასებას მაგრამ მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ პარტიას ესმოდეთ, რომ ეს არის კოლექტიური ძალისხმევა და ეს არის ისტორიული მომენტი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობებს, – განაცხადა ბორელმა.

## ირაკლი ღარიბაშვილი ოლივერ ვარჰეის შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ევროკომისარს გაფართოებისა და სამეზობლო საკითხებში ოლივერ ვარჰეის პირისპირ შეხვდა.

ევროკომისიაში შეხვედრისას აღინიშნა ევროპული საბჭოს მიერ ივნისში მიღებული ისტორიული გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი დაუდო ახალ ეტაპს, რომელმაც საქართველო ევროკავშირის წევრობამდე უნდა მიიყვანოს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველომ საბჭოს მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის გადასაჭრელად სამოქმედო გეგმა მალევე წარმოადგინა. სამუშაო პროცესი უზრუნველყოფს პარლამენტის, მთავრობის, ოპოზიციური პარტიებისა და ასევე სამოქალაქო საზოგადოების სრულ ჩართულობას.

პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირთან აღებული ვალდებულების შესრულების შედეგად ქვეყანა წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებს.

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ ასოცირების ახალი დღის წესრიგი 2021-2027 წლებში იქნება საქართველოს ამბიციური რეფორმის სამოქმედო გეგმის ძირითადი საფუძველი.

საუბარი შეეხო ევროკავშირთან ეკონომიკური და სექტორული ინტეგრაციის მნიშვნელობას, ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ოლივერ ვარჰეის მადლობა გადაუხადა საქართველოს ამბიციური გეგმების შესრულებაში შეტანილი პირადი წვლილისა და მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებაზეც ისაუბრეს, რა დროსაც პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ.

* * *

### ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებელ გზაზე ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების იდეის ერთგულნი ვართ“

– ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებელ გზაზე საქართველოს წინსვლისთვის მჭიდრო თანამშრომლობისა და ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების იდეის ერთგულნი ვართ, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბრიუსელში ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან შეხვედრაზე შავი ზღვის დაკავშირებადობის საკითხი განიხილეს.

– შევხვდი ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებელ გზაზე საქართველოს წინსვლისთვის მჭიდრო თანამშრომლობისა და ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების იდეის ერთგულნი ვართ. დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ შავი ზღვის დაკავშირებადობის საკითხი. ვაცნობიერებთ, რომ ლოგისტიკური და ენერგომარშრუტების დივერსიფიკაცია საკვანძო საკითხია ევროკავშირის უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის მდგრადობისთვის, – წერს პრემიერი.

# „ნაცმოძრაობა ცრუდასავლური ოპოზიციაა!“

## მირიან მირიანაშვილი: „ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება აშშ-ში დადებითად აღიქვეს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.**



***– საქართველოში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით „დიდება უკრაინას“ მონაწილეობაზე უარი თქვეს საქართველოს ხელისუფლების, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ის ხელს ვერ შეუწყობს რადიკალებს. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ კონფერენციაზე შეკრებილია ამ ქვეყნის ყველა პოლარიზატორი. მისი აზრით, კონფერენცია აგებულია იმ ადამიანების გარშემო, რომლებიც საუბრობენ რევოლუციასა და გადატრიალებაზე. თქვენ რას იტყვით?***

– გამონათქვამები, რომლებიც თქვენ მოიყვანეთ, გადაჭარბებულია. პაპუაშვილისა და კობახიძის განცხადებებში არის მცირე სიმართლე. ამერიკის მხარისათვის იმის გადაბრალება, რომ ის ხელს უწყობს რადიკალებს, სრული აბსურდია. კონფერენციის ორგანიზატორი კურტ ვოლკერი ყველანაირად დაინტერესებულია სტაბილურობით საქართველოში. ის ასევე არის ქართველების სიძე და საქართველოს დიდი გულშემატკივარი. პაპუაშვილისა და კობახიძის განცხადებები სამართლიანია კონფერენციის ქართველი მონაწილეების მიმართ.

***– ამ კონფერენციის მთავარი მონაწილეები საქართველოდან ნაცმოძრაობა და მისი პოლიტიკური პარტნიორები გამოდიან?***

– რასაკვირველია. რატომღაც საქართველოს ხელისუფლება თვითონ უწყობს ხელს იმას, რომ დასავლეთის მთავარი კომუნიკატორები ნაცმოძრაობა და მისი სატელიტები იყვნენ. ხელი ეწყობა ფსევდოდასავლურ ოპოზიციას იმ დროს, როცა იჩაგრებიან ნამდვილი მედასავლეთეები. ნაცმოძრაობის გამო პირადად მეც შევიკავე თავი კონფერენციაში მონაწილეობისაგან. მოწვევა მქონდა, მაგრამ არ მინდოდა, ქვეყნის შიგნით მომხდარიყო ჩემი მიბმა ან გაიგივება ახლანდელ ნაცმოსთან. უცხოეთში მიცნობენ და ამას ვერ დამაბრალებდნენ, მაგრამ აქ კუდებს მომიბამდნენ. ნაცმოძრაობა რომ ცრუდასავლური ოპოზიციაა, ყველამ იცის.

***– ეს ყველამ ნამდვილად არ იცის.***

– ინფორმირებულ ხალხზე მაქვს საუბარი, თორემ არაინფორმირებულ, პროცესებში ჩაუხედავ ადამიანებს ვერაფერს შეასმენ აქაც და, მაგალითად, ევროპარლამენტშიც. ნაცმოძრაობა იწვევს რადიკალიზაციასა და პოლარიზაციას. რა შუაში არიან ამერიკელები? ძალიან გაუგებარია ამაში ამერიკელების დადანაშაულება. იმის თქმისა არ იყოს, დასავლეთი საქართველოს ომში ითრევსო.

***– ომში ჩათრევის თემა ჯერაც არ დაუსრულებიათ.***

– ევრაზიის კონტინენტზე საქართველოს ყველაზე დაბალბიუჯეტიანი ჯარი, ანუ თავდაცვის ძალები ჰყავს. რისთვის უნდა უნდოდეს დასავლეთს მისი რუსეთთან ბრძოლაში ჩაბმა, იმისთვის, რომ რუსეთს შეუტიოს და დამარცხდეს?! ეს ხომ სისულელეა. ნატოს ერთი ბატალიონის ბიუჯეტს უდრის საქართველოს მთელი ჯარის ბიუჯეტი. საქართველოსგან, უბრალოდ, ითხოვენ მკვეთრ, მკაფიო პოზიციას.

***– რუსეთის ტრადიციულ თავისუფალ ფორუმში (პუტინის ოპოზიცია) რატომ მონაწილეობდა ვანო მერაბიშვილი და არა ვინმე სხვა საქართველოდან? აქაც არ ჩანდა „ოცნება“?***

– ვანო მერაბიშვილი რაც ციხიდან გამოვიდა, პოლიტიკაში არ უაქტიურია. ის უკვე არ არის ნაცმოძრაობის წევრი. მაქვს ინფორმაცია, რომ მოწვევა ამ ფორუმზე ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას. მასზე წავიდა მერაბიშვილი. ეს ამბავი გავიკითხე. ამ ფორუმზე მერაბიშვილს ნდობა არ გამოუწვევია. კულუარებში რომ საუბრობდნენ და იქ მერაბიშვილი გამოჩნდებოდა, მოსაუბრეები ჩერდებოდნენ. მერაბიშვილის კავშირები რუსეთის ძალოვნებთან ცნობილია. იქ მისი გამოჩენა არავის გახარებია. ჩაითვალა, რომ მერაბიშვილი რუსეთის სპეცსამსახურებმა ამ ფორუმზე ინფორმატორად მიავლინეს.

***– ამ დღეებში პრემიერმა ღარიბაშვილმა გააკეთა პროდასავლური განცხადება.***

– ამაზე გადასვლას ვაპირებდი. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას აშშ-ში პოზიტიურად შეხვდნენ. მან, ფაქტობრივად, სათავე დაუდო ახალ პოლიტიკურ კურსს. მანამდე თბილისიდან ვაშინგტონში იყო გზავნილები, გაუგებრობის ხანა დამთავრდა და თქვენკენ ვართო.

***– განცხადებამ ყველაფერი გადაწყვიტა?***




– ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება აშშ-ში დადებითად აღიქვეს. თუ მას კონკრეტული ნაბიჯებიც მოჰყვება, საქართველო გახდება ამერიკის სერიოზული პარტნიორი.

***– რა ნაბიჯებზე საუბრობთ?***

– ამერიკაში მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს ღიად პრორუსული ძალების, კრემლის ლობის ალაგმვა. საუბარია პრორუსულ ძალებზე, ჯგუფებზე, ასევე – მათ მფარველებზე საქართველოს მთავრობაში, მათ დამფინანსებლებზე. ამათი ალაგმვა და გაჩერებაა აშშ-სთან სერიოზული პარტნიორობის მიღწევის ყველაზე ეფექტური და სწრაფი საშუალება. ეს ჯგუფები დათარეშობენ საქართველოში და ეწევიან კრემლის პროპაგანდას.

***– ისევ გააქტიურებულია რიგგარეშე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი. რას ფიქრობთ?***

– შემიძლია გითხრათ ამაზე ამერიკის არასახელისუფლებო წრეების, ექსპერტების აზრი. ირაკლი ღარიბაშვილის ამ განცხადებამდე ვადამდელი არჩევნები მათ შესაძლებლად და სასურველად მიაჩნდათ. პრემიერის განცხადების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. თუ განცხადებას კონკრეტული ნაბიჯებიც მოჰყვება, მაშინ საკითხი მოიხსნება.

***– გამოდის, რომ უმრავლესობიდან გამოსულ ოთხეულსაც, ე.წ. კვარტეტსაც ფრთები შეეკვეცება.***

– ის, რაც ჩაფიქრებული იყო, აღარ გამოვა. ამ ოთხეულსა და სხვებს (სხვებიც გააქტიურდნენ კელი დეგნანის წინააღმდეგ) უნდა შეექმნათ პოლიტიკური პარტია, რომელიც გააგრძელებდა აშშ-ის ელჩ კელი დეგნანზე თავდასხმებს. ღიად შეუტევდნენ ელჩს თუ ფარულად, ეს იქნებოდა ანტიამერიკული მოძრაობა. მისი შიგთავსი ანტიამერიკული უნდა ყოფილიყო. ამაში უნდა ჩართულიყო ბევრი ადამიანი, მათ შორის, ადმინისტრაციების საშუალო რგოლების მუშაკები. „ოცნების“ ყოფილი თანაგუნდელები და სხვები სისულელეებს კიდევ ილაპარაკებენ, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ყველაფერი ძალიან უინტერესო ხდება.

***– რუსეთმა 137.000-ით გაზარდა შეიარაღებული ძალების კონტინგენტი. ცნობილია, რომ კრემლს ხალხისა და ტექნიკის რესურსი არ ჰყოფნის. საერთოდ როგორ შეაფასებთ უკრაინის ფრონტზე მიმდინარე მოვლენებს?***

– რუსეთის ჯარის რიცხოვნობის ზრდა არაფერს ნიშნავს. საქმე ისაა, რომ რუსეთს ყველა შენაერთი და დაჯგუფება უკრაინაში ჰყავს გადასროლილი. რუსეთის ტერიტორიაზე დატოვებული ინფრასტრუქტურა რომ არ დაცარიელდეს, ამისთვის გაზარდეს რაოდენობა. თავიდან ეგონათ, რომ ომს უკრაინაში რამდენიმე დღეში მოიგებდნენ და ყველას დისლოკაციის ადგილზე დააბრუნებდნენ. ასე არ მოხდა. კონფლიქტი გადადის გრძელვადიან ფაზაში. მიმდინარეობს რესურსების კლასიკური ბრძოლა. რუსეთი გადასულია თავდაცვაზე, მოგერიებაზე. რუსეთის რესურსები 30-ჯერ ჩამორჩება კოლექტიური დასავლეთის რესურსებს. სამხედრო წაგება კრემლს ძალიან ძვირი დაუჯდება.

სამხედრო მარცხს რუსეთში მოჰყვებოდა ხოლმე პოლიტიკური ქაოსი. ასე იყო 1855, 1907, 1917, 1991 წლებში. ასე იქნება ახლაც, მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაცია არის დაპყრობილი ხალხების კონგლომერატი. ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიოში გამოსული უახლესი სამხედრო ტექნიკის 65% აშშ-ს ეკუთვნის. რუსეთის მარცხი გარდაუვალია. როგორც ჩანს, ეს საქართველოს ხელისუფლებაშიც გააცნობიერეს.

# პარლამენტმა ე.წ. მოსმენების კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია

პარლამენტმა ე.წ. მოსმენების კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია.



თავდაპირველად სხდომაზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს უყარეს კენჭი, რომელსაც მხარი მხოლოდ 20– მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ 68 დეპუტატი წავიდა.

ამის შემდეგ, კენჭისყრაზე დადგა პარლამენტის მიერ 7 ივნისს მიღებული და ვეტოდადებული კანონპროექტი, რომელსაც მხარი 79-მა დეპუტატმა დაუჭირა, 27 წინააღმდეგ წავიდა.

პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, გიორგი მსხილაძემ წარადგინა.

ცნობისათვის, პრეზიდენტი კანონმდებლებს მოქმედი კანონის უცვლელი სახით დატოვებას სთავაზობს. პრეზიდენტის შეფასებით, მმართველი გუნდის ინიციატივით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს აუარესებს. სალომე ზურაბიშვილი აქცენტს იმაზეც აკეთებს, რომ კანონის მიღების პროცესი საზოგადოების ფართო ჩართულობის გარეშე წარიმართა.

პრეზიდენტი პარლამენტში წარდგენილ მოტივირებულ შენიშვნებში იმასაც აღნიშნავს, რომ დღეს როდესაც საქართველო ევროინტეგრაციის პროცესში უმნიშვნელოვანესს გადაწყვეტილებას ელის, პარლამენტის მიერ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით მიღებული კანონი წინ გადადგმული ნაბიჯი არ არის და პროცესს აფერხებს.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი პარლამენტმა 7 ივნისს დაამტკიცა.

მიღებული კანონპროექტით, სისხლის სამართლის იმ დანაშაულთა ჩამონათვალი იზრდება, რომელთა მიმართებაშიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება იქნება შესაძლებელი. ასევე იზრდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადები. გარდა ამისა, მიღებული ცვლილებებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ იმ პირისთვის შეტყობინება, ვის მიმართაც ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, განუსაზღვრელი დროით შეიძლება გადავადდეს.

# პავილიონისი: „რუსები, ზოგჯერ კი ჩინელები, რომლებთანაც ბიზნესი გაქვთ, ელოდებიან მომენტს, მოგკლან და გაძარცვონ თქვენი ბიზნესი“

„მოვუწოდებ ოლიგარქებს, კარგად დაფიქრდნენ... რუსები, ზოგჯერ კი ჩინელები, რომლებთანაც ბიზნესი გაქვთ, ელოდებიან მომენტს, მოგკლან და გაძარცვონ თქვენი ბიზნესი. მხარი დაუჭირეთ დასავლეთს“, – ამის შესახებ ლიეტუვის პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ჟიგიმანტას პავილიონისი საუბრობს.



– ოლიგარქების საკითხზე ლიეტუველ ოლიგარქებთან დაკავშირებული პირადი გამოცდილება შემიძლია გაგიზიაროთ. მე ვიყავი პირველი, ვინც ამ საკითხზე ხმამაღლა საუბრობდა. ისინი მეუბნებოდნენ, რომ ეს თემა გვერდით გადამედო, რადგან რუსეთში დიდი ბიზნესები ჰქონდათ და ევროკავშირში გაწევრიანება არ უნდოდათ. დიდი ზეწოლა იყო.

დღეს რომ დავაკვირდეთ იმ ოლიგარქებს, რომლებიც მიპირისპირდებოდნენ, ევროკავშირში ცხოვრებით ბედნიერები არიან. ისინი დიდ ფულს შოულობენ, თუმცა აღარ იპარავენ და კორუმპირებულები აღარ არიან. მოვუწოდებ ოლიგარქებს, კარგად დაფიქრდნენ. რუსები, ზოგჯერ კი ჩინელები, ვისთანაც ბიზნესი გაქვს, ელოდებიან შესაბამის მომენტს, მოგკლან და გაძარცვონ შენი ბიზნესი. სჯობს ცივილიზებულ, ტრანსატლანტიკურ და დემოკრატიულ ბაზარზე შეხვიდეთ. თქვენს ფულსაც დაიცავთ და მილიონებსაც იშოვით. ეს დადებითაც აისახება ეკონომიკაზე, აკადემიურ სფეროებსა და სტუდენტებზე. მხარი დაუჭირეთ დასავლეთს. არ იფიქროთ ამერიკელ ან ევროპელ ელჩებზე თავდასხმა. ისინი წარმოადგენენ იმ გზას, რომელსაც სამოთხეში მიჰყავხართ, – განაცხადა პავილიონისმა.

მან ისაუბრა საქართველოში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებითაც და თქვა, რომ ამ საკითხზე საუბარია ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის მინიჭებულ 12 რეკომენდაციაშიც.

– წაიკითხეთ 12-ვე რეკომენდაცია. იქ მედიის თავისუფლების შესახებ ნათლად წერია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია. ლიეტუვას კარგად ახსოვს ჟურნალისტი, რომელმაც გორბაჩოვის მიერ გამოგზავნილი ტანკებისგან გადაგვარჩინა. მაშინ მეც სატელევიზიო ანძის ტერიტორიაზე ვიყავი. ეს იყო ჟურნალისტიკისა და მედიის თავისუფლების მაგალითი. მათ ნათლად გადმოსცეს გორბაჩოვის რეჟიმის სისასტიკე. ჟურნალისტები თავისუფლებას და დემოკრატიას იცავენ. თქვენ გაქვთ საშუალება დასავლეთისკენ წახვიდეთ. გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა. ეს არის გზა სამოთხისკენ. არ მესმის, რატომ არ უნდა წავიდეს საქართველო ამ გზით?! – თქვა მან.

# სენსაციური აღმოჩენა დმანისში

არქეოლოგიური სამუშაოები 2021 წელს ჩატარდა. ადგილზე ჰომო ერექტუსების მიერ დამზადებული ქვის იარაღები და გადაშენებული ცხოველთა ნაშთები იქნა აღმოჩენილი.

„სენსაციური აღმოჩენა დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ოროზმანში. ოროზმანი 1.8 მლნ წლით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლია საქართველოში. ოროზმანის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები 2021 წელს ჩატარდა, რა დროსაც გამოვლინდა ევრაზიის უძველესი მცხოვრებლების (ჰომო ერექტუსების) მიერ დამზადებული ქვის იარაღები და გადაშენებულ ცხოველთა ნაშთები.

2022 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს ოროზმანის საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1.8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენებში ადრეული ჰომოს ქვედა ყბის კბილი, მე-4 პრემოლარი აღმოაჩინა. ოროზმანის აღმოჩენა მსოფლიო მნიშვნელობისაა და აფრიკის ფარგლებს გარეთ, დმანისთან ერთად, მსოფლიოში უძველესი ადამიანის ანუ ადრეული (Homo)-ს უძველესი გავრცელების კერას წარმოადგენს!

ოროზმანის აღმოჩენის პრეზენტაცია გაიმართება 8 სექტემბერს, 12 საათზე. სოფ. ქვემო ოროზმანი, დმანისი. აღნიშნული პრესრელიზის ასევე აღმოჩენის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერი სახით უნდა მოხდეს 8 სექტემბრის 12.00-ის შემდეგ! პრეზენტაციაზე მოხდება ძეგლის დათვალიერება და აღმოჩენილი კბილის წარდგენა პრესისა და ფართო საზოგადოებისთვის“, – ნათქვამია საქართველოს არქეოლოგიისა და პრეისტორიის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ვინ არის 68 წლის ქართველი „კანონიერი ქურდი“, რომელიც რუსეთში საკუთარ სახლში დაჭრეს



68 წლის გიორგი დიაკვნიშვილი, მოსკოვში მცხოვრებ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი ქართველი ე.წ. კანონიერ ქურდი, ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში დაჭრილი იპოვეს – ინფორმაცია რუსულ მედიაში გავრცელდა.

პრიმეცრიმე წერს, რომ 68 წლის კანონიერმა ქურდმა გია დიაკვნიშვილმა თვითმკვლელობა ცადა. დიაკვნიშვილი არაერთხელ იყო ნასამართლევი, მათ შორის ყაჩაღობისა და ნარკოტიკების შენახვისთვის.

– დიაკვნიშვილი „ახალი მოსკოვის“ სოფელ მოსტოვსკოეში ცხოვრობს. ცოტა ხნის წინ კი ის საკუთარ სახლში იპოვეს თავში ტყვიით – ტყვიამ თვალი დაუზიანა. კრიმინალური ავტორიტეტი რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც მისი სიცოცხლის გადარჩენა შეძლეს. პოლიციამ მის სახლში საბრძოლო იარაღად გადაკეთებული ე.წ. გაზის იარაღი იპოვა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის ფაქტზე მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამოძიება თვითმკვლელობის მცდელობის ვერსიაზე მუშაობს, – ნათქვამია განცხადებაში.

2017 წლის ზაფხულში რუსეთის შსს-მ დიაკვნიშვილი რუსეთში მცხოვრები არასასურველი პირების რეესტრში შეიყვანა.

იმავე წლის შემოდგომაზე აპირებდნენ მის დეპორტაციას და დააკავეს კიდეც და არალეგალური მიგრანტების სპეციალური დაკავების ცენტრში გადაიყვანეს, თუმცა დიაკვნიშვილი ქვეყნიდან არ გაუძევებიათ.

# 40 წლის ქართველი ქალი საბერძნეთში დაიჭირეს




საბერძნეთის პოლიციამ გაავრცელა ინფორმაცია 40 წლის ქართველი ქალის დაკავების შესახებ, რომელიც ატიკაში ბერძნულ ოჯახებში დიასახლისად მუშაობდა და რეალურად სახლებს ძარცვავდა.

პოლიციის ცნობით, ნაპოვნია ძვირფასი ნივთები და ძვირფასეულობა. არსებული ინფორმაციით, ქალს 43 ბინის გასაღები ჰქონდა. ამასთან, აღმოჩნდა, რომ მას ჰქონდა ძვირფასი ქვების დეტექტორიც ძვირფასი ნივთებისა და სამკაულების შესამოწმებლად, რომელსაც შემდგომში იპარავდა.

– პოლიცია ეძებს 43 გასაღების მფლობელს, რომელიც მას ხელთ ჰქონდა, – ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ჯერ მხოლოდ 4 ბინის ქურდობაა გამოვლენილი.

დაკავებული ქართველის ფოტოები და პირადი ინფორმაცია გამოქვეყნდა პირველი ინსტანციის პროკურატურის შესაბამისი ბრძანების შემდეგ, რადგან ხელისუფლება ეძებს

40 წლის ქალის სახლში აღმოჩენილი ნივთების ჩამონათვალი ვრცელია. ამასთან, ხელისუფლება ვერ ასახელებს ნაქურდალის ზუსტ რაოდენობას, რადგან, მათი ინფორმაციით, ქალმა მათი დიდი ნაწილი უკვე გაყიდა.

# „არ მისცეთ უფლება, დაგაბრუნონ ძაღლობაში“ – გოგაშვილის მიმართვა ოფიცრებს



სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი სოსო გოგაშვილი ოფიცრებს მიმართავს და მოუწოდებს, არ მისცენ უფლება, „დააბრუნონ ძაღლობაში“.

– 16 ივლისს, ღამით, ჩვენი, გოგაშვილების წინააღმდეგ რაშისტი ოცნების დავალებით ბინძური პროვოკაცია მოაწყვეს მილიციამ და გაიშნიკებმა. დიახ, ეს არ იყო უსაფრთხოების ოფიცრების სპეცრაზმი, არც კანონმორჩილი პოლიცია, არცერთ დროში საამაყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. უკანონო სპეცოპერაცია ჩაატარა ძაღლობამ, რათაც გადააქცია „ოცნებამ“ ძალოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი და სურს, ბოლომდე ასე გადააქციოს ყველა. ,,თევზი თავიდან ყროლდება''. ჩვეულებრივ წესად აქციეს უკანონო ბრძანებები, პოლიტიკური დავალებები, ამომრჩევლების ხმების მობილიზება-მოპარვა, უკანონო თვალთვალი, მოსმენა და ჩადება. ღირსება შერჩენილო ოფიცრებო, ხო კარგად იცით თქვენი უფროსობის განცხრომისა და ფუფუნებაში ცხოვრების ამბავი მაშინ, როდესაც თქვენ რიგითები ვალებში იხრჩობით, ქვეყნიდან გაქცევას ფიქრობთ, რომ ვალები დაფაროთ და ოჯახები არჩინოთ. შსს-ში და სუსში მუშაობის პერიოდში მე გავიცანი ბევრი ღირსეული, პროფესიონალი და პატრიოტი ოფიცერი. მათ მინდა მივმართო კითხვით – თქვენ ხომ კარგად იცით, რაც ხდება სისტემაში. რუსული სპეცსამსახურების დირექტივით რომ გამუშავებენ, ხომ იცით?

სუსის ოფიცრებმა ხომ კარგად იცით, ვინ არიან ადამია და რომანოვსკი (ვისი საჩივრითაც აღძრეს საქმე ჩემს წინააღმდეგ)? ისინი რომ რუსული სპეცსამსახურების აგენტები არიან და პატრიარქის წინააღმდეგ მუშაობენ, ესეც ხომ იცით? 10 წლის განმავლობაში ერთი რუსი ჯაშუში არ დაგიკავებიათ, მაშინ, როდესაც ქვეყანა სავსეა აგენტებით. პრივილეგირებულ კრიმინალებს, რომლებსაც მფარველობს ოცნება, თქვენ ახლოსაც ვერ ეკარებით. ოფიცრებო, ნუ მისცემთ უფლებას, დაგაბრუნონ ძაღლობაში, რა ხელფასსაც იღებთ, ვალებში, გზაში და საჭმელში არ გყოფნით, ნუ გაათელინებთ თქვენს ღირსებას ბოლომდე ამ ორკებს, ნუ იცხოვრებთ დღევანდელი დღით და თქვენს შვილებს ნუ მოუსპობთ მომავალს. ეს ყველა უბედურება, რაც ხდება ირგვლივ, თქვენც გეხებათ. ეს არ არის სხვისი ჭირი, გეყოთ გამბედაობა, ემსახუროთ საქართველოს და არა პუტინის, ბიძინას და კოლაბორანტ მარიონეტებს. სოსო გოგაშვილი, 306-ე საკანი, – წერს გოგაშვილი.

# სპეცოპერაცია თბილისსა და რეგიონებში – ნარკოდანაშაულისთვის 10 პირია დაკავებული

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა დროს ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის 10 პირი დააკავეს, მათ შორის 4 ნარკორეალიზატორია.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული არიან: 1952 წელს დაბადებული რ.ა., 1961 წელს დაბადებული ი.ა., 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ქ., 1988 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჯ.ჭ.




განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ ბრალად 1983 წელს დაბადებულ ზ.ნ. -ს, 1987 წელს დაბადებული გ.დ.-ს, 1988 წელს დაბადებული ლ.ა.-ს. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით არიან ასევე დაკავებულები 2002 წელს დაბადებულიუცხო ქვეყნის მოქალაქე ა.ო. და 1974 წელს დაბადებული გ.დ., ხოლო 1981 წელს დაბადებული უკრაინის მოქალაქე ნ.ტ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე ,,დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში“ დააკავეს.

დანაშაულები 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პოლიციამ დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცების სახით ამოიღო, ასევე ამოღებულია ნარკოტიკის უკანონო გასაღების შედეგად მიღებული ფული.

# სწრაფად მოძრავი „მერსედესი“ ჯერ ბოძს დაეჯახა, შემდეგ კი ეზოში შევარდა

ავტოსაგზაო შემთხვევა ახმეტის მუნიციპალიტეტში – მსუბუქი ავტომანქანა ეზოში შევარდა. შემთხვევა სოფელ კოღოთოსთან მოხდა.

სავარაუდოდ, სწრაფად მოძრავი მერსედესის მარკის მსუბუქი ავტომობილი ჯერ ბოძს დაეჯახა, შემდეგ კი ერთ-ერთი ადგილობრივის ეზოში შევარდა.

შემთხვევის შედეგად ავტომობილში მყოფი ერთი ადამიანი დაშავდა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადას დაშავებული საავადმყოფოში გადაჰყავს.

# ექსპერტიზის დასკვნით, თბილისში დეკემბერში მომხდარი მკვლელობისას ორსულ ცოლს გოგა გზირიშვილმა სხეულზე 30 ჭრილობა მიაყენა, რომელთაგანაც უმეტესობა სასიკვდილო იყო

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ორსულ ცოლს გოგა გზირიშვილმა სხეულზე 30 ჭრილობა მიაყენა, რომელთაგანაც უმეტესობა სასიკვდილო იყო. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა ბრალდების მხარემ გუშინდელ სასამართლო პროცესზე წარადგინა.

გუშინდელ სხდომაზე უნდა დაკითხულიყვნენ ექსპერტებიც, თუმცა თავად ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა დასკვნა უდავოდ ცნეს, რის გამოც მისი სასამართლოში გამოკვლევა საჭირო აღარ გახდა.




პროკურორ გია შაიშმელაშვილის განცხადებით, ბრალდების მხარეს აღნიშნულ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს.

– დღევანდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ გზირიშვილის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა ჩატარებულია გზირიშვილის მეუღლის გვამზე. შესაბამისად, მიღებულია ინფორმაცია, რომ გვამს სხეულის სხვადასხვა ადგილზე 30 ჭრილობა აღენიშნებოდა. მათგან უმეტესობა სიკვდილთან უშუალო კავშირში, სიცოცხლისთვის სახიფათო იყო. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია ცალმხრივ ლესილი ცივი იარაღის გამოყენებით.

ჭრილობების უმეტესობა სასიცოცხლო ორგანოებზე, მათ შორის, გულ-მკერდის არეში იყო მიყენებული.

თუ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჭრილობათა სიმრავლე მიუთითებს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაზე და დადგენილია, რომ გარდაცვლილი და ბრალდებული მეუღლეები იყვნენ. ვფიქრობ, სასამართლო გზირიშვილის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს მიიღებს ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ნაწილში. შესაბამისად, ადეკვატური და სამართლიანი სასჯელის მოლოდინი გვაქვს, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა.

ცნობისთვის, მკვლელობა გასული წლის 22 დეკემბერს, თბილისში მოხდა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ორსული ქეთა კეპულაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გზირიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გოგა გზირიშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ სრულად ცნობს.



## კაცი ცხოველთა თავშესაფარში შეიჭრა და 150 ძაღლი გაათავისუფლა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ აბილინში 38 წლის ჯორჯ პოლ ჯონსი ცხოველთა თავშესაფარში შეიჭრა და დაახლოებით 150 ძაღლი გაათავისუფლა. აღნიშნული ინციდენტი პარასკევს, 26 აგვისტოს დილით მოხდა.

როგორც სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადეს, მამაკაცი ღობეზე გადაძვრა და შენობაში სახურავიდან შეაღწია. ამის შემდეგ რამდენიმე ვოლიერის კარი გახსნა, რომლებშიც ძაღლები იმყოფებოდნენ და ცხოველები ქუჩაში გაუშვა. თავშესაფრის თანამშრომლებს მათი მოძებნა დასჭირდათ. მამაკაცმა კი შემთხვევის ადგილიდან სატვირთო მანქანა გაიტაცა და მიიმალა.

ჯონსს ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მიაგნეს, ის დააპატიმრეს და ძარცვის, ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის და სატრანსპორტო საშუალების გატაცების ბრალდება წაუყენეს. ამ დროისთვის მამაკაცი ტეილორის ოლქის ციხეში იმყოფება. აბილინის პოლიციის განყოფილებაში განაცხადეს, რომ ერთ-ერთი ძაღლი მკვდარი იპოვეს, ხოლო რამდენიმეს დაზიანებები აღენიშნებოდა, რომლებიც, სავარაუდოდ, ერთმანეთთან დაპირისპირების შედეგად მიიღეს. რამდენიმე ცხოველი ამ დრომდე დაკარგულად ითვლება.

## მამაკაცმა მოკლა მაგი, რომელმაც მისთვის ცოლის დაბრუნება ვერ შეძლო



ინდოეთის ოდიშის შტატის ქალაქ ჯაჯპურის რაიონის სოფლის მცხოვრებმა მოკლა მაგი, რომლის მიერ მისი ცოლის დასაბრუნებლად ჩატარებული რიტუალი წარუმატებელი აღმოჩნდა.

სანტან ბახერის ცოლი მწვავე კამათის შემდეგ დაშორდა და ერთი თვე ცალკე ცხოვრობდა. მეზობლების რჩევით მამაკაცმა გადაწყვიტა, მაგის მანია ბაბარას სამსახურით ესარგებლა, რათა მას ჯადოქრობის გამოყენებით მისი მეუღლე ეიძულებინა, სახლში დაბრუნებულიყო.

ბაბარი სოფლის შორიახლოს კემპინგში მოხეტიალე მჭედლებთან ერთად ცხოვრობდა. მან განაწყენებულ მამაკაცს ორი ათასი რუპია გამოართვა და შესაბამისი რიტუალები ჩაატარა.

როდესაც მაგიამ არ იმოქმედა, ბაბარმა მამაკაცის პრეტენზიების საპასუხოდ კიდევ უფრო მეტი თანხა მოითხოვა. ამის შედეგად გაცოფებულმა ბახერმა მაგი ნაჯახით მოკლა, შემდეგ კი თავად ჩაბარდა პოლიციას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# რუსეთმა სანქციები შონ პენსა და ბენ სტილერს დაუწესა




რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის ფონზე ოფიციალურმა მოსკოვმა სანქციები დამატებით აშშ-ის 25 მოქალაქეს დაუწესა. BBC-ის ინფორმაციით, სანქცირებულთა შორის მსახიობები შონ პენი და ბენ სტილერი არიან. სანქციები ასევე დაუწესდა რამდენიმე ამერიკელ კონგრესმენს, ოფიციალურ პირებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს.

ცნობისთვის, შონ პენი და ბენ სტილერი უკრაინის მიმართ მხარდაჭერას დიდი ხანია, ღიად გამოხატავენ.

უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის შემდეგ შონ პენი უკრაინაში დოკუმენტური ფილმის გადასაღებად ჩავიდა. ის ბუჩასა და ირპენს ეწვია. ბენ სტილერი კი ივნისში კიევში ჩავიდა და ვოლოდიმირ ზელენსკის გმირი უწოდა.

# ოკუპირებულ ბერდიანსკში რუსეთის მიერ დანიშნული ოფიციალური პირი ავტომობილშიააფეთქეს



უკრაინის ქალაქ ბერდიანსკში, რომელიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული, რუსეთის მიერ დანიშნულ ოფიციალურ პირს თავს დაესხნენ. კომენდანტად დანიშნული არტემ ბარდინი მაშინ დაშავდა, როდესაც მისი მანქანა სამოქალაქო-სამხედრო ადმინისტრაციის შენობასთან ააფეთქეს. ინფორმაციას CNN ავრცელებს.

– დღეს, 6 სექტემბერს, ბერდიანსკის ცენტრში, სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციის შენობასთან, ქალაქის კომენდანტ არტემ ბარდინის მანქანა ააფეთქეს. აფეთქების შედეგად ქალაქის კომენდანტი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს. ექიმები მას აუცილებელ სამედიცინო დახმარებას უწევენ, – აცხადებენ მერიაში.

ჯერჯერობით უცნობია, რამ გამოიწვია აფეთქება, თუმცა რუსმა ოკუპანტებმა მომხდარში უკრაინა დაადანაშაულეს.

– კიევის რეჟიმის ტერორისტები აგრძელებენ გათავისუფლებული ტერიტორიების მცხოვრებლების დაშინების მცდელობებს, – აცხადებენ ქალაქის პრორუსულ მერიაში.

როგორც მედია წერს, აფეთქების შედეგად კიდევ სამი მანქანა დაზიანდა.

# გუბერნატორი: „უკრაინულმა ძალებმა ლუგანსკში წინ წაიწიეს“



ლუგანსკის ოლქის გუბერნატორ სერჰი გაიდაის ინფორმაციით, უკრაინულმა ძალებმა უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, ლუგანსკში, წინ წაიწიეს და ფეხი მოიკიდეს.

– ლუგანსკის ოლქი თავის დაცვას განაგრძობს. მტრის თავდასხმები მოგერიებულია, არის გარკვეული დადებითი შედეგები: ჩვენმა დამცველებმა მცირედით წინ წაიწიეს და ფეხი მოიკიდეს. ველოდებით დეოკუპაციას, – წერს გაიდაი.

მანამდე უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველმა ალექსეი არესტოვიჩმა განაცხადა, რომ უკრაინული ძალები კონტრშეტევას ქვეყნის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთითაც ახორციელებენ.

– უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევითი მოქმედებები მიმდინარეობს არა მხოლოდ უკრაინის სამხრეთით, არამედ აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, – აღნიშნა არესტოვიჩმა.

# უკრაინაში რუსეთის შეჭრის დღიდან დაკარგულად 236 ბავშვი ითვლება



უკრაინაში რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან დღემდე დაკარგულად 236 ბავშვი ითვლება. ინფორმაციას უკრაინული მედია ომბუდსმენის აპარატის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

– ბავშვების ძებნის სახელმწიფო პორტალის მიხედვით, 2022 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით: დაკარგულია – 236, დეპორტირებულია – 7343, ნაპოვნია – 5391 და დაბრუნებულია 55 ბავშვი, – აღნიშნულია სახალხო დამცველის ოფისის განცხადებაში.

ამასთან, უკრაინაში რუსული ძალების მოქმედებების შედეგად 741-ზე მეტი ბავშვი დაშავდა.

# რეჯეფ თაიფ ერდოღანი: „ევროპის ქვეყნები იმკიან იმას, რაც დათესეს“



ევროპის დამოკიდებულებამ ვლადიმერ პუტინის მიმართ, მისმა სანქციებმა მიიყვანა პუტინი იქამდე, რომ ეთქვა: „თუ ამას გააკეთებ, მე იმას გავაკეთებ“. მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომელმაც ევროპაში შექმნილი ენერგოკრიზისის მიზეზად რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები დაასახელა.

მისი თქმით, ევროპის ქვეყნები „იმკიან იმას, რაც დათესეს“.

– იმკიან იმას, რაც დათესეს. ევროპის დამოკიდებულებამ ბატონი პუტინის მიმართ, მისმა სანქციებმა მიიყვანა პუტინი იქამდე, რომ ეთქვა: „თუ ამას გააკეთებ, მე იმას გავაკეთებ“. ის იყენებს ყველა საშუალებასა და იარაღს. ბუნებრივი აირი, სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანია, – განაცხადა ერდოღანმა.

# ჯო ბაიდენის განცხადებით, რუსეთი ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოდ არ უნდა აღიარონ



აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, რუსეთი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ არ უნდა აღიარონ. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, თეთრ სახლში ჟურნალისტის შეკითხვაზე, უნდა იყოს თუ არა რუსეთი აღიარებული ტერორიზმის სპონსორად, ჯო ბაიდენმა უპასუხა: „არა“.

ამერიკელი სენატორების ნაწილს, მათ შორის „რესპუბლიკელ“ ლინდსი გრემსა და „დემოკრატ“ რიჩარდ ბლუმენტალს სურთ მიიღონ კანონი რუსეთის ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ და ირწმუნებიან, რომ აღნიშნულ ინიციატივას აშშ-ის სენატში თითქმის ერთსულოვანი მხარდაჭერა ექნება. ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოებად აშშ-ის მიერ აღიარებულია კუბა, ირანი, სირია და ჩრდილოეთ კორეა.

# რუსეთი საბრძოლო მასალას ჩრდილოეთ კორეიდან შეიძენს



რუსეთის თავდაცვის სამინისტრო უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების მხარდასაჭერად ჩრდილოეთ კორეიდან მილიონობით რაკეტისა და საარტილერიო ჭურვის შეძენის პროცესშია. მედიის ცნობით, ამის შესახებ შეერთებული შტატების დაზვერვის ინფორმაციაშია აღნიშნული. ამერიკელი ჩინოვნიკის შეფასებით, რომელმაც ანონიმურობის დაცვის პირობით ისაუბრა, ის ფაქტი, რომ რუსეთი ჩრდილოეთ კორეას მიმართავს, ადასტურებს, რომ რუსი სამხედროები შეიარაღების მომარაგების კუთხით კვლავ განიცდიან სერიოზულ დეფიციტს, რაც ნაწილობრივ ექსპორტის კონტროლისა და დაწესებული სანქციების გამოა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ რუსეთმა უკრაინაში გამოყენების მიზნით ირანული წარმოების დრონები შეიძინა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სპორტი

# თურქეთს უარი უთხრეს. გამოძიება გრძელდება



საქართველოსა და თურქეთს შორის გამართულ ევრობასკეტის მატჩის შედეგზე თურქეთის კალათბურთის ფედერაციის მიერ ფიბა-ევროპაში შეტანილი ოფიციალური პროტესტი უარყოფილია. ეს გადაწყვეტილება მიიღო ევრობასკეტის ძირითადმა ორგანიზატორმა ფიბა-მ, რომლის შესაბამისმა ორგანომ ვერ გამოააშკარავა იმ დონის შეცდომა, რომელსაც შეეძლო, თამაშის შედეგზე გავლენა მოეხდინა.

თურქეთის მხარე მიანიშნებდა იმ გაპარულ 22 წამზე, რომელსაც ადგილი მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე 4:48 წუთით ადრე ჰქონდა. ამ დროს მოედანზე ვითარება დაიძაბა, რადგან დუდა სანაძესა და ფურკან ქორქმაზს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. კონფლიქტის დაწყებიდან მალევე დროის ათვლა გაგრძელდა და 22 წამში წამმზომი შეჩერდა. თამაში რომ განახლდა, ტაბლოზე 4:48 წუთის ნაცვლად 4:26 ეწერა. ამის შემდეგ გუნდებმა კიდევ 14:26 წუთი ითამაშეს და საბოლოოდ საქართველომ 88:83 დაამარცხა მეტოქე.

სწორედ ამ შედეგის გაუქმებასა და მატჩის სრულად ან დარჩენილი 4:48 წუთის გადათამაშებას ითხოვდნენ თურქები, თუმცა მათი პროტესტი ფიბა-ევროპამ არ დააკმაყოფილა. რაც შეეხება კიდევ ერთ შემთხვევას, რომელიც გასახდელში მიმავალ დერეფანში მოხდა, ამაზე ფიბას ოფიციალურ განცხადებაში წერია: – გამოძიება, რომელიც დაიწყო იმ მოქმედებების გამო, რომელიც მოხდა გუნდების ზონაში და რომელშიც ორივე გუნდის მოთამაშეები და დელეგაციის წევრები იყვნენ ჩართულნი, მიმდინარეობს. როგორც კი გამოძიება დასკვნას გამოიტანს, ფიბა-ს შესაბამისი ორგანოები განსაზღვრავენ დისციპლინარული სასჯელის ზომას.

თურქების განცხადებებით, დუდა სანაძეს მოედანზე შექმნილი კონფლიქტის გამო გაძევებულ ფურკან კორკმაზს თავს ქართველი კალათბურთელები და დაცვის წევრები დაესხნენ. ისინი ითხოვდნენ ვიდეოჩანაწერს, თორემ ევრობასკეტს დატოვებდნენ. შესაბამისად, ფიბა-ს რეაგირებისკენ მოუწოდებდნენ. ჯერჯერობით თურქეთის ნაკრები თბილისში რჩება და გუშინ ჯგუფის მეოთხე მატჩში ბელგია 78:63 დაამარცხეს.

თავის მხრივ, თურქეთთან მატჩის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საგანგებო განცხადება გაავრცელა:

– საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გამოხატავს აღშფოთებას თურქეთის ეროვნული საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიერ განხორციელებული პროვოკაციული ქმედებების გამო, რაც მიმართული იყო სიტუაციის გამწვავებისაკენ. იგი არ ერიდებოდა უხამს ჟესტიკულაციას, როგორც თამაშის მსაჯების, ასევე დამსწრე მაყურებლების მიმართ, მისმა არაეთიკურმა ქცევამ, მანამდე პრესაში და პრესკონფერენციებზე არაერთგზის გახმოვანებულმა შეურაცხმყოფელმა განცხადებებმა, გავლენა იქონია თურქეთის ნაკრების მოთამაშეებზე, რისი მკაფიო მაგალითიც იყო ფურკან კორლმაზის მიერ ფიზიკური აგრესიის გამოვლინება საქართველოს ნაკრების მოთამაშეების მისამართით, რასაც თან დაერთო მისი მხრიდან მუქარები და აგრესიული ქმედებები... მუქარისა და სიცოცხლის ხელყოფის გზავნილები ატაცებულ იქნა თურქეთის ნაკრების გულშემატკივართა მხრიდანაც, არაერთი ასეთი ხასიათის გზავნილი საქართველოს ნაკრების მოთამაშეების მიმართაც განხორციელდა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მოითხოვს ფიბასგან სათანადო რეაგირებას აღნიშნულ საკითხზე, რათა მკაცრი პასუხი გაეცეს თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეგნებულად განხორციელებულ პროვოკაციულ საქციელს.

იმავდროულად, გასაკვირი და ყველა ზღვარს გადაცილებულია თურქეთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ ომერ ონანის ცილისმწამებლური განცხადება პოლიციისა და საქართველოს ნაკრების მოთამაშეების მიერ მათ მოთამაშეზე თავდასხმის შესახებ...

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მიმართავს ყველა ღონეს, რათა ძალიან მალე ნათელი მოეფინოს ომერ ონანის არასწორ და შეურაცხმყოფელ განცხადებას და იტოვებს იმედს, რომ ონანი არ ახმოვანებს ჩვენი მეგობარი ფედერაციის განწყობას ჩვენსა და ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ და ეს არის მხოლოდ მისი პირადი ინტერპრეტაცია, რომელიც არაა გამაგრებული არანაირი მტკიცებულებით და რის გამოც ვითხოვთ, დროულად ჩატარდეს სპეციალური მოკვლევა სიმართლის დასადგენად.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სრულიად ემიჯნება ყველანაირ ძალადობას. ჩვენი პოზიციაა, რომ რაც მოთამაშეებსა და მატჩის მონაწილეებს შორის ხდება, მოედნის ფარგლებს არ უნდა გასცდეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მეხსიერებადაკარგულ მამაკაცს ცოლი ხელმეორედ შეუყვარდა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მცხოვრებ 36 წლის ლიუკ ბაკტონს, რომელმაც ავარიაში მოყოლის შემდეგ მეხსიერება დაკარგა, ცოლი ხელმეორედ შეუყვარდა.

ავტოსაგზაო შემთხვევა 2017 წელს მოხდა. მოტოციკლით მიმავალი ბაკტონი გაჩერებულ ავტომობილს შეეჯახა და ქალა-ტვინის მძიმე დაზიანება მიიღო. მას საკუთარი ცხოვრების უმეტესი ნაწილი დაავიწყდა. ვერ დადიოდა, ვერ ლაპარაკობდა, ვეღარ ცნობდა საკუთარ მეუღლე მელისას, რომელზეც ავარიამდე ცხრა თვით ადრე იქორწინა.

მამაკაცმა საავადმყოფოში ექვს თვეზე მეტი გაატარა, შემდეგ კი წელიწად-ნახევარი სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მელისა მეუღლეს გვერდიდან არ მოშორებია და მეხსიერების აღდგენაში ეხმარებოდა.

– ვფიქრობ, როდესაც ჩვენ დაქორწინების დროს ვამბობდით: „ჭირსა თუ ლხინში, ავადმყოფობასა თუ ჯანმრთელობაში“, მართლაც ამას ვგულისხმობდი. ის ჩემი საუკეთესო მეგობარია, იყო და დარჩება ასეთად, – განაცხადა ბაკტონის მეუღლემ.

მამაკაცს მეუღლე ხელმეორედ შეუყვარდა, თუმცა უკმაყოფილოა იმით, რომ დღემდე ვერ იხსენებს საკუთარი ცხოვრების ნათელ მომენტებს. ამის მიუხედავად, ბაკტონს მეხსიერება ნელ-ნელა უბრუნდება და დროდადრო ძილში ხედავს საკუთარი წარსულის ცალკეულ მონაკვეთებს. ერთ-ერთი ასეთი იყო მელისასთან მისი პირველი ცეკვა და ქალმაც დაადასტურა, რომ მეუღლემ ზუსტად გაიხსენა სიზმარში ყველა მომენტი.

მელისა და ლიუკი 2021 წლის აგვისტოში დაქორწინდნენ და შეეძინათ შვილი, რომელსაც მიკი დაარქვეს.

# მამაკაცმა შემთხვევით მიიღო მონაწილეობა ლატარიის გათამაშებაში და ჯეკპოტი მოხსნა



ამერიკის მიჩიგანის შტატის ოკლენდის ოლქის მკვიდრმა შემთხვევით მიიღო მონაწილეობა ლატარიის გათამაშებაში და ჯეკპოტი 100 ათასი დოლარი მოხსნა.

58 წლის მამაკაცმა ლატარიის დანართით ისარგებლა, ბილეთების შესამოწმებლად და რომლებითაც ვერაფერი მოიგო. მან არ იცოდა, რომ ის ამგვარად ის დამატებით გათამაშებაში იღებდა მონაწილეობას.

– არ წამიკითხავს ის, რაც ბილეთების უკანა მხარეს ეწერა, ამიტომ არ ვიცოდი, რომ მათი შემოწმების შემდეგ ავტომატურად მონაწილეობას ვიღებდი დამატებით გათამაშებაში, – განმარტა მამაკაცმა.

ის გაკვირვებული დარჩა, როდესაც ელექტრონული ფოსტით შეტყობინება მიიღო იმის თაობაზე, რომ მან 100 ათასი დოლარი მოიგო.

– ლატარიის შტაბ-ბინაში დავრეკე იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავდა ეს წერილი და მაშინ გავიგე დამატებითი გათამაშების შესახებ. ეს ჩემთვის უდიდესი სიურპრიზი გამოდგა, – აღნიშნა იღბლიანმა ამერიკელმა.

ის მოგებული ფულით აპირებს ნათესავებს დაეხმაროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დინამო ლიდერს მიუახლოვდა. ჭიაბრიშვილს ოპერაცია გაუკეთეს

**თელავი-დინამო (თბ) 1:2**

**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 იმრანი (5), 1:1 ქავთარაძე (45), 1:2 კირკიტაძე (70)

**თელავი:** სანიკიძე, ც.კაპანაძე, გიგაშვილი (ზ.თევზაძე 75), ბერიაშვილი, ფირანაშვილი, ბ.ქავთარაძე (ვიტინიო 57), ქოჩლაძე (გრძელიძე 75), ფაცაცია, მუჯირი (კვერნაძე 57), ყაველაშვილი (პარკინაშვილი 64), ჩუკვურა

**დინამო:** კერესელიძე (კუტალაძე 31), მალი, კალანდაძე, ხვადაგიანი, იმრანი (სიგუა 81), სხირტლაძე (ბილენკი 72), მოისწრაფიშვილი (ბარნსი 72), ოსიყმაშვილი, თ.კირკიტაძე (ანტილევსკი 81), კობოური, კამარა

თელავმა დინამო თბილისს უმასპინძლა და 1:2 წააგო. თელაველები მეშვიდე ადგილზე დარჩნენ, მაგრამ 6 ტურია, არ გაუმარჯვიათ. აი, დინამოელებმა კი ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგეს და 4 ქულით ჩამორჩებიან ლიდერ დინამო ბათუმს, რომელსაც ამ ტურში ჯერ სათამაშო აქვს.

დინამო თელავში სწრაფი გოლით დაწინაურდა: ულადომარ იმრანმა კარგი კონტრშეტევა დაასრულა. 4 მატჩი დინამოში, 4 გოლი – ასეთია იმრანის სტატისტიკა.

პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა ბექა ქავთარაძის გოლით გაათანაბრეს, ხოლო გამარჯვების გოლი თორნიკე კირკიტაძემ გაიტანა 70-ე წუთზე. სხვათა შორის, იმრანმა და კირკიტაძემ ასისტენტობა ერთმანეთს გაუწიეს.

დინამოს მთავარი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილი ჯანმრთელობის პრობლემების გამო თელავთან მატჩს არ ესწრებოდა და გუნდს მისი ასისტენტი გიორგი დეკანოსიძე ხელმძღვანელობდა.

ჭიაბრიშვილს გულის შეტევა მოუვიდა და საოპერაციო გახდა. ქირურ-



გიულმა ჩარევამ კარგად ჩაიარა და 42 წლის სპეციალისტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**კომენტარი მთავარი მწვრთნელის მდგომარეობის შესახებ კლუბის ექიმმა დავით ხარაბაძემ გააკეთა:**

– გიორგი ჭიაბრიშვილს გუშინ, მატჩამდე, სტენოკარდიული შეტევა მოუვიდა. თავდაპირველად იგი გადაყვანილ იქნა თელავის კლინიკაში, სადაც გაუკეთდა კორონაროგრაფია და გადაწყდა, რომ საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა, კერძოდ, შუნტირება. გუშინვე იგი რეანომობილით გადმოვიყვანეთ თბილისში და დღეს გაუკეთდა ოპერაცია, რომელმაც კარგად ჩაიარა.

გიორგი ჭიაბრიშვილი უახლოესი დღეების განმავლობაში კლინიკაში დარჩება და მკურნალობას ადგილზე გააგრძელებს.

**ლოკომოტივი-დილა 2:2**

**საგურამო. ლოკო-საგურამო**

0:1 კაპანაძე (19), 0:2 გომისი (37), 1:2, 2:2 მახარობლიძე (59, 83)

**ლოკომოტივი:** ლომიძე, მახარობლიძე, შეყილაძე (ომარაშვილი 46), ძებნიაური (აბდულაჰი 46), ხარაიშვილი, შერმადინი (კეკელიძე 72), გაბაძე, იაშვილი (რ.მჭედლიშვილი 46), კიკნაძე, ქველაძე, კალანდაძე (კახაბრიშვილი 72)

**დილა:** კანევცევი, ჩიტეიშვილი (გაფრინდაშვილი 74), სანტოსი, მოსიაშვილი, თ.კაპანაძე, გეილი, ნონდი, გომისი (დრამე 74), ბატიუშინი (ვიქტორი 59), ძოწენიძე, სილვა

ლოკომოტივმა საგურამოში გორის დილას უმასპინძლა და პირველი ტაიმის მერე 0:2-ს აგებდა, მაგრამ 2:2 დაასრულა. აუტსაიდერ ლოკოს 5 ქულა აქვს. გორელები კი მეოთხე ადგილზე დარჩნენ და კარგი შანსი დაკარგეს, რათა სამგურალისთვის დროებით მაინც გაესწროთ.

დილადან გოლები თორნიკე კაპანაძემ და ონორე გომისმა გაიტანეს, ლოკომოტივიდან კი ორივე ბურთი ბიძინა მახარობლიძემ მიითვალა. საინტერესოა, რომ მახარობლიძეს წლეულს ამ ტურამდე ერთი გოლი ჰქონდა გატანილი და ისიც – ლოკომოტივის კარში, როცა თელავში თამაშობდა.

**საბურთალო-სიონი 1:1**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

1:0 ჯგერენაია (90), 1:1 დუმბია (90)

**საბურთალო:** ქურდაძე, მამაცაშვილი (ჯგერენაია 46), ი.ტაბატაძე, ქარდავა (გეგუჩაძე 90), გულიაშვილი (ვინისიუსი 78), კაკუბავა, ჯინჯოლავა, გ.მამაგეიშვილი, გოჩოლეიშვილი, ო.მამაგეიშვილი, ჩადუნელი

**სიონი:** ისიანი, ბექაური, კარვალიიუ, ტვილდიანი, ლ.ხორხელი, ნ.ხორხელი, ლამბარაშვილი (გელაშვილი 46), ფოცხვერია, ჟორდანია (ჯავაშვილი 87), კიკალიშვილი, დუმბია

**გაძევება:** დუმბია (90)

ორივე გოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გავიდა. 91-ეზე გიორგი ჯგერენაიამ თავურით დააწინაურა საბურთალო, ხოლო 3 წუთში კოტდივუარელმა აბდულაზიზ დუმბიამ შორიდან დარტყმით გაათანაბრა – 1:1.

საინტერესოა, რომ ჯგერენაიასთვისაც და დუმბიასთვისაც ეს სადებიუტო გოლები იყო მიმდინარე კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში. დუმბია ამ გატანილის მერე გააძევეს: მსაჯმა მაისურის გახდისთვის მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა...

საბურთალოს 6-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და მეექვსე ადგილზეა, ისე კი, ზედიზედ 4 წაგების მერე აიღო ქულა. რაც შეეხება სიონს, მერვე საფეხურზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 24 | 17 | 6 | 1 | 64-17 | 57 |
| 2.დინამო (თბ) | 25 | 16 | 5 | 4 | 54-23 | 53 |
| 3.სამგურალი | 24 | 10 | 9 | 5 | 38-25 | 39 |
| 4.დილა | 25 | 11 | 5 | 9 | 30-26 | 38 |
| 5.ტორპედო | 24 | 10 | 4 | 10 | 32-40 | 34 |
| 6.საბურთალო | 25 | 8 | 7 | 10 | 33-35 | 31 |
| 7.თელავი | 25 | 6 | 10 | 9 | 25-26 | 28 |
| 8.სიონი | 25 | 6 | 9 | 10 | 26-41 | 27 |
| 9.გაგრა | 24 | 6 | 7 | 11 | 27-41 | 25 |
| 10.ლოკომოტივი | 25 | 1 | 2 | 22 | 20-75 | 5 |

## შედეგები

### 5 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მიდლსბრო-სანდერლენდი .............. 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ალმერია ................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2.ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 11-1 | 10 |
| 3.ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-0 | 10 |
| 4.ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 5.სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 6.ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 7.ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-1 | 7 |
| 8.სელტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 9.ოსასუნა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 10.ვალენსია | 4 | 2 | 0 | 2 | 6-3 | 6 |
| 11.მალიორკა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 12.ხირონა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 13.რაიო | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 14.ალმერია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 15.ესპანიოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 16.ვალიადოლიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-8 | 4 |
| 17.სევილია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 18.ელჩე | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |
| 19.ხეტაფე | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |
| 20.კადისი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოვიედო-ლევანტე ............................ 1:1

**იტალია. სერია ა**

მონცა-ატალანტა ............................ 0:2

სალერნიტანა-ემპოლი ..................... 2:2

ტორინო-ლეჩე ................................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატალანტა | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2.ნაპოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 3.მილანი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 4.უდინეზე | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 5.ტორინო | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| 6.რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| 7.იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-2 | 9 |
| 8.ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-8 | 9 |
| 8.ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 10.ფიორენტინა | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 11.სალერნიტანა | 5 | 1 | 3 | 1 | 7-4 | 6 |
| 12.სასუოლო | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 13.ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 14.სპეცია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 15.ემპოლი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-5 | 4 |
| 16.ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 5-8 | 3 |
| 17.ლეჩე | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |
| 18.სამპდორია | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |
| 19.კრემონეზე | 5 | 0 | 1 | 4 | 4-9 | 1 |
| 20.მონცა | 5 | 0 | 0 | 6 | 2-13 | 0 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

პო-სენტ ეტიენი ................................ 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ფერეირა ........................ 1:0

შავიში-რიუ ავე ................................ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-გაზიანთეპი .............. 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-ლეგნიცა .............................. 2:1

პლოცკი-გურნიკი ............................ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-კოლოსი ................................. 1:1

ოლექსანდრია-მეტალისტი .............. 1:3

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ნორდსიელანდი ................. 2:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

ვერნამო-ჰელსინბორგი .................... 3:2

კალმარი-ვარბერგი ......................... 1:0

მიალბი-გიოტებორგი ....................... 1:4

ნორჩიოპინგი-ჰამარბი ..................... 4:1

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

ივაშკა-სინერი ........ 1:6,7:5,2:6,6:4,3:6

ჩილიჩი-ალკარასი ...... 4:6,6:3,4:6,6:4,3:6

**ქალები**

კოლინზი-სობოლენკო ......... 6:3,3:6,2:6

# ვილი სანიოლი და დელ პიერო კვარაცხელიას აქებენ

იტალიურმა მედიამ ხვიჩა კვარაცხელიაზე აზრი საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვილი სანიოლის ჰკითხა. 45 წლის ფრანგი სპეციალისტის აზრით, კვარაცხელიას გაუმართლა, რომ კარგ გარემოში მოხვდა.



**ვილი სანიოლი:**

– კვარაცხელიასთვის იტალიაში თამაში მნიშვნელოვანი გამოცდაა. თუმცა, ხვიჩა დღეს რასაც აჩვენებს, უკვე ძალიან კარგია. ძალიან მჯერა მისი. როგორც კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გავხდი, მაშინვე შევამჩნიე – გამორჩეული ტექნიკური თვისებები და ეფექტურობის წარმოუდგენელი უნარი აქვს. ამავდროულად, მგონია, რომ მას შეუძლია, კიდევ უფრო უკეთესი გახდეს და ლუჩანო სპალეტი მას ზრდაში დაეხმარება. ნაპოლის ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს.

კვარაცხელიას ცოტა ხნის წინაც ვესაუბრე. ყოველთვის ერთ რამეს ვეუბნები – რაც უნდა მოხდეს, უნდა გააგრძელო მუშაობა. ბევრია კარგი ფეხბურთელი, რომელიც თუ შრომას მოუკლებს, საშუალო დონის გახდება. მინდა, რომ ხვიჩა არა საშუალო, არამედ საუკეთესო ფეხბურთელი იყოს. საუკეთესო ფეხბურთელად გახდომის მთელი საიდუმლო გამუდმებით მუხლჩაუხრელი შრომაშია და ეს მაშინაც კი, როდესაც საქმეები არცთუ კარგად მიდის.

იმედი მაქვს, უფრო ძლიერ კვარაცხელიას ვნახავ, როდესაც საქართველოს ნაკრებში ჩრდილოეთ მაკედონიასთან მატჩისთვის ჩამოვა. ის ჩემი გუნდის საკვანძო ფეხბურთელია, შედეგიანობით გამოირჩა ჩრდილოეთ მაკედონიასა და ბულგარეთთან განვლილ შეხვედრებში. საქართველოს ნაკრები უეფას ერთა ლიგის ც დივიზიონის მე-4 ჯგუფში გამოდის, სადაც ჩატარებულ 4 მატჩში მოპოვებული 10 ქულით ლიდერია. ვილი სანიოლის გუნდი მომდევნო შეხვედრებს შინ ჩრდილოეთ მაკედონიასა (23 სექტემბერს) და სტუმრად გიბრალტართან (26 სექტემბერს) ჩაატარებს.

კვარაცხელიაზე მაღალი აზრის არის იტალიის ნაკრებისა და ტურინის იუვენტუსის ყოფილი ვარსკვლავი ალესანდრო დელ პიერო, რომელმაც იტალიელ ჟურნალისტებთან ისაუბრა და ჩვენებურის თამაშს მაღალი შეფასება მისცა.

**ალესანდრო დელ პიერო:**

– დასუსტდა თუ არა ნაპოლი ინსინიესა და კულიბალის წასვლის შემდეგ? არავითარ შემთხვევაში, მე ვიტყოდი, რომ პირიქით, უფრო გაძლიერდა! მაღალ დონეზე ვაფასებ ლუჩანო სპალეტის მუშაობას, ნეაპოლელთა ახალწვეული ხვიჩა კვარაცხელია კი არაპროგნოზირებადი ფეხბურთელია. ის ნამდვილი ტალანტია. კვარა დაბადებულია ევროპაში სათამაშოდ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, ქალბატონი

**ლამარა ჭანტურიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახსა და მეგობრებს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. უდაბნოში მზარდი მცენარე; 3. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 4. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი; 5. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 6. მგალობელი ჩიტი; 8. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 11. სამეფო კვერთხი; 14. ქართველ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი; 15. ქვიშიანი უდაბნო შუა აზიაში; 16. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 17. ვაჭართა ინტერესების დამცველი გაერთიანება ძველად; 19. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 21. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 22. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი.

**თარაზულად:** 1. გამომწვარი ფერადი თიხა კერამიკული სამუშაოებისთვის; 5. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ქართველი კონსტრუქტორი, დუბაის, „პალმა ჯუმეირას" პროექტის ერთ-ერთი ავტორი; 10. მტრის ზურგში გადასხმული სპეციალური დანიშნულების სამხედრო შენაერთი; 12. შტატი აშშ-ში; 13. იტალიელი კომიკოსი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი ზესტაფონის მახლობლად; 17. ტურისტთა მეგზური; 18. უძველესი ქართული სამეფო; 20. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 20. გერმანული მეტალურგიული მანქანათმშენებელი კონცერნი; 23. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 24. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 25. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სპირალი; 2. მიცუბიში; 3. ლიკუდი; 4. ვისლა; 5. მალვაზია; 8. ხაჭაპური; 12. რომი; 13. გუჯაბიძე; 14. ალპები; 16. ბეთანია; 18. ნაძვი; 20. ბილი.

**თარაზულად:** 6. აპატრიდი; 7. გლიპტიკა; 8. ხორუმი; 9. გაყრა; 10. კინტრიში; 11. ვიბრაცია; 15. მუჯურეთული; 17. ჭილაძე; 19. ბომბონერა; 21. ქინძაძა; 22. ტერარიუმი; 23. დიადორა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. იკებანა; 3. ევოლუცია; 4. ასტეროიდი; 5. დუკლა; 6. იამოტო; 8. უჯარმა; 11. სტილეტი; 14. ტრუსკავეცი; 15. გემრიელი; 16. ფერეიდანი; 17. რამოსი; 19. ორაგული; 21. პიესა; 22. პრალა.

**თარაზულად:** 1. ჩინეჩიტა; 5. დაჩი; 7. ჭყურტი; 9. აერონავტიკა; 10. მუსკატი; 12. ატრიუმი; 13. პრისტლი; 16. ფიტარეთი; 17. რიცი; 18. შონია; 20. პიკადელი; 22. პრესა; 23. ოგინსკი; 24. აირანი; 25. სუეცი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 სექტემბერი

აშშ დოლარი — 2.8705

ევრო — 2.8510

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3243

100 რუსული რუბლი — 4.6802

## ამინდის პროგნოზი 7 სექტემბრისთვის




## სამმა სპილომ ინდოეთის საავადმყოფოს დერეფნებში გაისეირნა



ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატის ერთ-ერთ საავადმყოფოში დერეფნებში მოსეირნე სამი სპილო აღმოაჩინეს.

ამ შემთხვევის თვითმხილველებმა ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღეს. კადრებში ჩანს, თუ როგორ შევიდა საავადმყოფოს დერეფანში სპილო უკუსვლით, შემდეგ შეჩერდა და იქ მყოფ ადამიანებს დაუწყო თვალიერება. გარკვეული დროის შემდეგ ის კარის გავლით ერთ-ერთ ოთახში შევიდა. მას უკან კიდევ ორი სპილო მიჰყვა. საავადმყოფოში გადაღებული ვიდეოები სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა. ინტერნეტის მომხმარებელთა უმრავლესობა ნანახმა გააოგნა.

## მშობლებმა თავიანთი 11 წლის გოგონა ბიჭთან დალაპარაკების გამო მოკლეს




ინდოეთის ქალაქ მერატხში მშობლებმა თავიანთი 11 წლის გოგონა იმის გამო მოკლეს, რომ ის 12 წლის ბიჭს ელაპარაკებოდა.

ჩადენილი მკვლელობის შემდეგ 40 წლის ბაბლუ კაშიაპმა და 38 წლის რუბი კაშიაპმა თავად მიმართეს პოლიციას განცხადებით მათი 11 წლის გოგონას გაუჩინარების თაობაზე. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები გოგონას ექვსი წლის ძმას გაესაუბრნენ, რომელმაც მათ უთხრა, რომ მშობლებმა მისი და ბაზრობაზე წაიყვანეს, იქიდან კი მის გარეშე დაბრუნდნენ. დაკითხვის შემდეგ ბაბლუმ და მისმა მეუღლემ აღიარეს, რომ თავიანთი გოგონა არხში დაახრჩვეს. მამის თქმით, მას არ მოსწონდა, რომ მისი გოგონა მეზობელ თანატოლ ბიჭთან ურთიერთობდა. ბაბლუ ციხეში გადაიყვანეს, ხოლო რუბი ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში მოათავსეს. გამომძიებელ კეშავ კუმარის თქმით, გოგონას ცხედარს ჯერჯერობით ვერ მიაკვლიეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ცოლი ქმარს ეშმაკური ღიმილით ეუბნება:

– ძვირფასო, მალე რომანტიკული საღამო და სექსი უმშვენიერეს ქალთან გელის.

– რა, მივლინებაში მიდიხარ?

•••

სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს ეკითხება:

– რა დაგემართა, რატომ ხარ უხასიათოდ?

– დედაშენმა შეურაცხყოფა მომაყენა.

– კი მაგრამ, რანაირად, ის ხომ საერთოდ სხვა ქალაქში ცხოვრობს.

– წერილი გამოგიგზავნა, მე კი გავხსენი და წავიკითხე.

– ქმარმა წერილი აიღო, წაიკითხა და ცოლს მიუბრუნდა:

– და რა არის ამაში შეურაცხმყოფელი?

– რა და მინაწერში წერია: „ძვირფასო რძალო, წერილის შენი ქმრისთვის ჩვენება არ დაგავიწყდეს“...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, რად გინდა ყვავილები, ისინი ხომ მაინც დაჭკნებიან!

– და მაშინ შენ რაში მჭირდები? ბოლოს ხომ სული მაინც ამოგძვრება!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბუკა თოლორდავა რუსთაველის თეატრის მსახიობია



მსახიობების კოტე თოლორდავასა და მარიამ ჯოლოგუას შვილმა ბუკა თოლორდავამ პროფესიად მსახიობობა აირჩია.

ბუკას დიდ მომავალ უწინასწარმეტყველებენ. იგი პირველ ნაბიჯებს ახლა დგამს თეატრალურ კარიერაში და საკმაოდ წარმატებითაც – იგი რუსთაველის თეატრის მსახიობი გახდა.

## „პატარების დიდი შოუ“ მესამე სეზონით ბრუნდება




სულ მალე ტელეკომპანია „იმედზე“ ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გადაცემა – „პატარების დიდი შოუ“ მესამე სეზონს დაიწყებს. ყველაზე საოჯახო, ემოციებით სავსე და დაუვიწყარი სანახაობა „იმედზე“ ბრუნდება.

12 სექტემბრიდან ტელემაყურებელი გაიცნობს ყველა იმ პატარას, რომლებიც გამორჩეული ნიჭითა და შესაძლებლობებით არიან დაჯილდოებული.

„პატარების დიდი შოუ“ ათასობით მაყურებელს ყველასგან გამორჩეულ ბავშვებს გვაცნობს – ეს არ არის კონკურსი. აქ ყველა გამარჯვებულია. ეს პატარების დიდი დღესასწაულია, რომელსაც ყველა თაობის ტელემაყურებელი განსაკუთრებულად ელოდება.

## დავით ფოცხიშვილი: „იმედგაცრუებული ვარ!“



– იმედგაცრუებული ვარ! – აცხადებს ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილი და მიაჩნია, რომ სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ამას ქვეყანა არ ჰქვია.

– არაპარტიული ადამიანი ვარ. ხელოვანი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ. ჩემი აზრი და პრინციპები გამაჩნია. პირადად მე იმედგაცრუებული ვარ. ამას, სადაც მე და ჩვენ ვცხოვრობთ, ქვეყანა არ ჰქვია. უკრაინა აუცილებლად დაიბრუნებს თავის საზღვრებს – ის ომს მოიგებს. უკვე ასეთი პირი უჩანს, ამას არ სჭირდება დიდი განსჯა და ფილოსოფოსობა. ბოროტების იმპერია, რომელსაც ჰქვია რუსეთი, არსებობას კრახით დაასრულებს. როდესაც შენ ერთი ხარ და მსოფლიო გეწინააღმდეგება... დასკვნა თავად გამოიტანეთ.

აი, რა გვეშველება ჩვენ – ორპირი ადამიანებითა და ღვარძლით გატენილ ქვეყანას? ეგ ნამდვილად არ ვიცი. მე კი პირადად დასავლეთს ვანიჭებ უპირატესობას. თუ გაგიჩნდებათ კითხვა, რა გაგვიკეთა დასავლეთმა, მაშინ ჯერ დასვით კითხვა: რა გაგიკეთათ კარგი რუსეთმა?! როდესაც უკრაინა რუსეთს მოსვამს თავის ადგილზე, მერე მაინტერესებს ბევრი ჩემი უნიჭო კოლეგის დასკვნები. დიდი ახალი შოუ იწყება.

## გერმანელი მწერალი ბერნჰარდ შლინკი საქართველოში ჩამოდის



საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მოწვევითა და ორგანიზებით 12 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი გერმანელი მწერალი ბერნჰარდ შლინკი საქართველოში ჩამოდის.

1995 წელს ნაციონალ-სოციალისტურ თემაზე დაწერილმა მისმა რომანმა „წამკითხველი“ მწერალს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. რომანი მსოფლიოს 50-ზე მეტ ენაზეა ნათარგმნი. სამართლიანობა, სამართალი და მორალი, ფაშიზმის დანაშაულის, გერმანიის ისტორიული წარსულის გადამუშავება და კოლექტიური პასუხისმგებლობა – ეს ის თემებია, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებს ავტორს.

ქართულ ენაზე გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულია ბერნჰარდ შლინკის ორი ბესტსელერი – „წამკითხველი“ და „ოლგა“.

12 სექტემბერს ბერნჰარდ შლინკთან შეხვედრა გოეთეს ინსტიტუტში გაიმართება. იგი წაიკითხავს ნაწყვეტებს თავისი რომანებიდან. საუბარს გაუძღვება „ოლგას“ მთარგმნელი მაია ფანჯიკიძე. მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტში გექნებათ შესაძლებლობა, შეიძინოთ მისი ორივე რომანი და მოაწერინოთ ხელი მწერალს.

13 სექტემბერს მწერალთა სახლში ბერნჰარდ შლინკი ისაუბრებს თემაზე „ისტორიაზე წერა: წარსულთან თანაცხოვრება“. საუბარს გაუძღვება ნინო ლეჟავა. შეხვედრა ტარდება თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ფარგლებში.

ორივე ღონისძიება გაიმართება გერმანულ ენაზე ქართული სინქრონული თარგმანით და მათზე დასწრება თავისუფალია.

## ეკა კვალიაშვილი: „ბავშვებს გაუფრთხილდით!“



მომღერალი ეკა კვალიაშვილი გვაფრთხილებს და თავის გაფრთხილებასაც განმარტავს:

– ბავშვებს გაუფრთხილდით! არავისთან, არც სკოლაში, არც ბაღში, არანაირ სოცმუშაკთან, არანაირ მოთაფვლაზე, დაპირებაზე ხელი არ მოაწეროთ, არც ბავშვებისა და საკუთარი მონაცემები არ გაასაჯაროოთ და არ ჩააწერინოთ. აქ სხვა რამეზე გაწერინებენ ხელს. შემდგომ საკუთარ შვილზე უფლებას დაკარგავთ, ექსპერიმენტი სკოლებში, მოგაჩვენებენ ღიმილიან, საყვარლად შეფუთულ ტყუილს და სკოლას დაგიკეტავენ და არ შეგიშვებენ, აცრიან და სულ პატარა მიზეზიც კი არ სჭირდებათ, კანონით, რომელზეც ხელს თავად მოგაწერინებენ ტყუილით, წაგართმევენ!

სანამ დროა, ამის წინააღმდეგ მშობლებს შეუძლიათ ისეთი წინააღმდეგობა, რომ არ დასიზმრებიათ. მიხედეთ და გაუფრთხილდით ბავშვებს, ნურავინ გაიჭიმება და ნუ იტყვის, აბა გაბედონო! უკვე ბეჭდავენ და ვერაფერს გააწყობთ, ამიტომ დროულად მიხედეთ და სიტუაცია თქვენს ხელში აიღეთ! ამისათვის შექმენით ჯგუფი ყველგან და დადექით ერთად!

უკვე არის განთავსებული ლაივი და ინფორმაცია „ემი“ ჯგუფის შეხვედრაზე განათლების სამინისტროში სწორედ ამ პრობლემასთან დაკავშირებით!

## ილია ჭავჭავაძის 185 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იწყება




საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“ და ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდი იწყებენ ილია ჭავჭავაძის 185 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

2022 წელს ყოველწლიური პროექტი „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“ – ახალი ისტორიის პირველი ქართველის 185 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო ფორმატით ბრუნდება!

„ილია 185 – თბილისის ცის ქვეშ“ – ასე ეწოდება პროექტს, რომელიც 12-დან 21 სექტემბრის ჩათვლით თბილისის მასშტაბით ღია სივრცეებში გაიმართება. ეს იქნება 10 დღე, 10 ღონისძიება, 10 რაიონი – მხატვრული, ლიტერატურული, თეატრალიზებული, შემეცნებითი და სამოქალაქო აქტივობები.

თბილისის ნებისმიერ მცხოვრებს შეეძლება, მის უბანში გაატაროს ერთი საღამო ილიას სამყაროში, ილიაზე ფიქრში და ილიაზე მნიშვნელოვანი ისტორიული თუ ლიტერატურული ამბების მოსმენით.

პროექტი დაიწყება 12 სექტემბერს უცვლელი ნაწილით – ფეხით მსვლელობით სიონის ტაძრიდან მთაწმინდის პანთეონამდე – ილიას უკანასკნელი გზის გავლა სიმბოლური მარათონით!

**გიორგი სავანელი, რეჟისორი, „ეროვნული იმპერატივის“ დამაარსებელი:**

– ილია ჭავჭავაძის 185 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თბილისის მასშტაბით: 10 დღე 10 ღონისძიება 10 რაიონში. მე-9 წელია, ილიასადმი მიძღვნილ პროექტს „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“ ყოველწლიურად ვახორციელებთ.

წელს უფრო ვრცელი პროგრამით, მეტი აქტივობებითა და საინტერესო მონაწილეებით მწერლებთან, მსახიობებთან, ისტორიკოსებთან ერთად შევხვდებით მაყურებელს, მსმენელსა და თბილისის აუდიტორიას. რაც მთავარია, უშუალოდ, ღია სივრცეებში, მათივე უბნებში ადამიანებს საშუალება ექნებათ, გაატარონ ერთი საღამო ილიას სამყაროში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 7 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ოჯახში პატარა გაუგებრობა შეგექმნებათ. იყავით კეთილგონიერი და მომთმენი. **კურო** – პროვოკაციული დღეა. კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** – მწვავდება ქრონიკული დაავადებები. ილუზიებს არ აჰყვეთ. იყავით რეალისტი. **კირჩხიბი** – ერთი შეხედვით, კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მცირედი სანერვიულო შეგხვდეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. **ლომი** – გეგმები შეიმუშავეთ და მათ რეალიზებას თამამად შეუდექით. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ქალწული** – სამოგზაუროდ, მივლინებაში წასვლა სასურველი არ არის. კარგი იქნება, თუ ამ დღეს სახლში გაატარებთ. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანკალი** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** – საქმეში წინსვლა გელით. რომანტიკული ურთიერთობისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა სურვილების ასრულების კუთხით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში. **თევზები** – ყოველგვარი ურთიერთობა ნორმალიზდება. საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საარტილერიო ქვედანაყოფი; 2. მდინარე ბოლნისში; 3. ტკბილეული, დესერტი; 4. ბერების სადგომი მონასტერში; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულისგან მომზადებული საწებელა; 12. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 18. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 20. ღვინის პატარა ქვევრი.

**თარაზულად:** 6. პოპულარული უკრაინული მინერალური წყალი; 7. მითოლოგიური „მარადიული ურია“; 8. წიაღისეულის მომპოვებელი სამთო საწარმო; 10. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 11. შვეიცარია-იტალიის დამაკავშირებელი სარკინიგზო-საავტომობილო გვირაბი; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. ისტორიული ხიდი ლონდონში; 19. კურორტი, ნავსადგური აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მძაფრი გემოს მქონე ფრანგული ყველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

